საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 9 (553) პარასკევი, 15 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრმა 13 იანვარს გაავრცელა განცხადება.

განცხადებაში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 13 იანვარს პროგრამა „ნოვოსტიმ" აფხაზურ წყაროებზე დაყრდნობით გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოსდა ქართველთა მხარეს ეწამებინოს და დაეხოცოს 6 იანვარს გუმისთის ბრძოლაში მონაწილე მოწინააღმდეგე მეომრები. ცნობაში აღნიშნული იყო, რომ ქართველი მხარის მიერ მათთვის გადაცემული 28 გვამიდან წამებისა და დახოცვის კვალი ეტყობოდა 12 მათგანს.

მოწინააღმდეგის მეომრები ბრძოლაში დაიღუპნენ 6 იანვარს გამთენიისას, ქართველმა მებრძოლებმა კი მათ გვამებამდე მისვლა და მათი აკრეფა მხოლოდ 8 იანვარს შეძლეს, მანამდე კი აფხაზი სნაიპერების წყალობით, ასეთ მცდელობას ერთი ჩვენი მეომრის სიცოცხლე შეეწირა. ბუნებრივია, რომ 3 დღის განმავლობაში გუმისთის პირას მწოლიარე ადამიანები ცოცხლები არ იქნებოდნენ და უკვე წამებასა და შემდგომ დახოცვას ვერავინ შესძლებდა. ისიც სრულიად ბუნებრივია, რომ ბრძოლაში დაღუპულ ადამიანებს სხვადასხვა საბრძოლო იარაღიდან, დაცემისა და ქვიან რელიეფზე ხოხვის დროს მიღებული ჭრილობები სხეულზეც დაეტყობოდათ. ამას კი აფხაზთა მხარე წამების ნაკვალევად ასაღებს. ყოველ შემთხვევაში, 8 იანვარს, როდესაც საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობამ გამოიჩინა კეთილი ნება და ყოველგვარი გაცვლის გარეშე მოწინააღმდეგეს გადასცა 18 მეომრის ცხედარი, ჩვენი წარმომადგენლების თანდასწრებით მათ პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ასევე არავითარი პრეტენზია არ გამოუხატავთ მათ 10 იანვარსაც, როდესაც გადავეცით კიდევ 5 მეომრის გვამი.

რაც შეეხება დაჭრილ მეომართა დახოცვას, ესეც სრული სიყალბეა, კვლავ აღვნიშნავთ, რომ ზამთრის ყინვაში 3 დღე გაუნძრევლად ყოფნას ვერც ერთი ადამიანი, მით უმეტეს დაჭრილი, ვერ შეძლებდა. გარდა ამისა, ცნობილია ისიც, რომ ბრძოლაში დაჭრილმა რამდენიმე მეომარმა იმისათვის, რომ ტყვეობას გადარჩენოდა, თვითონ მოისწრაფა სიცოცხლე.

ასეთი ფაქტები ჩვენთან შეხვედრებისას არც თუ სიამაყის გარეშე თავად აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა დაადასტურეს.

დასასრულ, ნათქვამია განცხადებაში, შეიძლება ითქვას, რომ მოწინააღმდეგის მხრიდან ასეთი ცილისწამებისა და სიყალბის გავრცელება, მით უმეტეს ქართველი მხარის მიერ გადადგმული ჰუმანური ნაბიჯების შემდეგ, მხოლოდ იაფფასიანი პროპაგანდისტული ტრიუკი და უმადურობაა.

●

ოჩამჩირე, 14 იანვარი. წუხელ ბრძოლები მიმდინარეობდა სოფელ ფოქვეშის მისადგომებთან. როგორც ქალაქ ოჩამჩირის მთავარი შტაბიდან შეგვატყობინეს, შეტაკებები დაიწყო 13 იანვარს 18 საათზე და ღამის ორ საათამდე გაგრძელდა. აფხაზთა მხარეს არის ორი მოკლული, ქართველთა მხარეს მოკლულები არა ჰყავს, დაიჭრა რამდენიმე კაცი. ბრძოლები წარმოებდა სოფელ ტამიშის მიდამოებშიც. დანაკარგები არ არის.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ვფიცავ, მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისათვის!

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, რესპუბლიკის პარლამენტარებმა მიიღეს სამხედრო ფიცის შეჯერებული ტექსტი. ქვემოთ გთავაზობთ ამ ფიცს.

სამხედრო ფიცი

მე, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, შევდივარ რა საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში,

ვფიცავ, პირნათლად მოვიხადო ჩემი მხედრული ვალი საქართველოს წინაშე;

ვფიცავ, კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო საქმე, ღირსეულად განვაგრძო წინაპართა მხედრული ტრადიციები;

ვფიცავ, მტკიცედ დავიცვა მხედრული დისციპლინა, როგორც სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა საფუძველი;

ვფიცავ, შევინახო ჩემთვის მონდობილი სამხედრო საიდუმლოება, შევასრულო სამხედრო წესდებათა ყველა მოთხოვნა და მეთაურის ბრძანება;

ვფიცავ, მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისათვის;

თუ გავტეხ ამ ფიცს, პასუხისმგებელი ვიქნები ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

გვფარავდეს ღმერთი!



როდემდე გვექნება ეს გაუფასურებული მანეთი?

საქართველოს პარლამენტის სხდომის დღიური

13 იანვრის პარლამენტის საღამოს სხდომას დიდი ინტერესით ელოდნენ არა მარტო პარლამენტარები, არამედ მთელი საზოგადოებრიობა, და, რასაკვირველია, პრესის მუშაკები. რადგან უნდა მოესმინათ რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ბრიგადის გენერლის ავთანდილ ცქიტიშვილის ინფორმაცია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე, აფხაზეთი კი არა მარტო ტკივილია ჩვენი, არამედ სასიცოცხლო საკითხი. რადგანაც ამ ინფორმაციის განხილვისას აუცილებელი იქნებოდა შეხებოდნენ თავდაცვის ზოგიერთ საიდუმლო საკითხს, პარლამენტარებმა გადაწყვიტეს, რომ მოსმენა დახურული ყოფილიყო.

არანაკლებ ინტერესს იწვევდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის რომან გოცირიძის ინფორმაცია მისი ხელმძღვანელობით მოსკოვში სამთავრობო დელეგაციის ამასწინანდელი ვიზიტის შედეგების შესახებ. როგორც ცნობილია, საქმე ეხებოდა საქართველოს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობას რუსეთთან. რომან გოცირიძემ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა, რომელიც შეიცავდა ამ ვიზიტის გამომწვევი მიზეზებისა და მოლაპარაკების საბოლოო შედეგების ანალიზს.

ინფორმაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, აზრთა სხვადასხვაობა და ცხარე კამათი გამოიწვია. რომან გოცირიძემ უპასუხა პარლამენტართა მრავალრიცხოვან შეკითხვებს, რომელთაგან მაინც უმთავრესი იყო სამანეთო ზონის პრობლემა — დარჩება თუ არა საქართველო ამ ზონაში და როდემდე.

როგორც ვიცე-პრემიერმა თქვა, საქართველოს დარჩენა სამანეთო ზონაში ამ ეტაპზე გამოწვეულია ჩვენს ქვეყანაში შექმნილი დღევანდელი ვითარებით. რადგანაც, როგორც მან აღნიშნა, ახლა, ასეთ ეკონომიკურ სიტუაციაში ეროვნული ფულის შემოღება ჯერჯერობით საადრეოა და არანაირად არ არის გამართლებული.

ამით პარლამენტარებმა ამოწურეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და მუშაობას ერთი კვირის თავზე განაახლებენ.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

გიუნტერ დალჰოფი: რადგან ეკონომიკა სასიცოცხლო საკითხია, იგი პოლიტიკისაგან მკაცრად უნდა გაიმიჯნოს

საქართველოში მიმდინარე პროცესები ყველას, პოლიტიკოსია იგი თუ ჩვეულებრივი მოქალაქე, ერთნაირად აღელვებს. თუ როგორ აფასებს ამ პროცესებს, ვესაუბრებით გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ბატონ გიუნტერ დალჰოფს.

ვფიქრობ, თქვა ბატონმა დალჰოფმა, რომ დღეს საქართველოს წინაშე ორი მნიშვნელოვანი პრობლემა დგას და ეს მისი დიდი ჯვარია. პირველი, ესაა კონფლიქტი აფხაზებსა და ქართველებს შორის, მეორე კი — თუ როგორ გაართვას რესპუბლიკამ თავი საგარეო პრობლემებს. ყველა, ვინც საქმეშია ჩახედული, მომხრეა ნებისმიერი საკითხი მოლაპარაკების გზით გადაწყდეს. აქედან გამომდინარე, საქართველოში ქართველებსა და აქ მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ სახელმწიფომ თავისი სიტყვა უნდა თქვას, უზრუნველყოს კონფლიქტის მონაწილეთა შერიგება.

სამწუხაროდ, ქვეყანაში ძალიან დაიძაბა სიტუაცია. მე შეშფოთებით ვადევნებ თვალყურს ამ მეტად გამძაფრებულ პოლიტიკურ პროცესებს და მიმაჩნია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ადგას სწორ კურსს, რომელიც მას დემოკრატიის გამარჯვებამდე მიიყვანს. თუმცა მას ბევრი ხელშემშლელი პირობა აქვს და თუკი საქართველოს მთავრობა ჩათვლის საჭიროდ, დათმოს თავისი უფლებები, ჩვენი საელჩო იმუშავებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი; თუ მთავრობა ძალის გამოყენებით გადადგება, რაც მეტად არასასურველი იქნებოდა, ჩვენ შევეცდებით ჩვენს უფლება-მოვალეობას თქვენს ქვეყანაში, რადგან დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენ დამყარებული გვაქვს არა მთავრობასთან, არამედ სახელმწიფოსთან.

ერთი წლის წინათ თქვენთან გადატრიალება მოხდა და საქართველო განვითარების სწორ გზაზე დადგა. ამის დასტურია ოქტომბრის არჩევნებიც, რამაც გონივრულად გადაწყვიტა თქვენი სამშობლოს ბედი, მისი წინსვლის დემოკრატიული გზა.

— რა აზრის ხართ რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების დადებაზე?

— ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეინარჩუნონ ეკონომიკური კავშირები. საქართველომ უნდა გააგრძელოს რუსეთთან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან ექსპორტი და იმპორტი. ამასთანავე, რამდენადაც ეკონომიკა სასიცოცხლო საკითხია, იგი პოლიტიკისაგან მკაცრად უნდა გაიმიჯნოს. რაც შეეხება რუსეთის ჯარს, იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკისათვის დიდი პრობლემაა. აზრთა სხვაობა კი საქართველოში მას კიდევ უფრო მეტად ართულებს. აფხაზეთში სიმშვიდესა და წესრიგს რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მთავრობამ დრო მისცა რუსეთის ჯარს გასვლისათვის. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის ჯარს სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლია თქვენი რესპუბლიკისათვის, თუნდაც ქართული ჯარის ახალგაზრდა კადრების მომზადებაში. მიმაჩნია, რომ ამ ორი სახელმწიფოს ნორმალური ურთიერთობა ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელია, ორივე ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება.

ნანა გელაშვილი.

სამი შეკითხვა ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს

დიდი დასაყრდენი ძალა



დაიბადა 1938 წელს, ქ. ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წელს — ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი ფინანსებისა და კრედიტის განხრით. სასწავლებლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო საფინანსო სისტემაში, სადაც განვლო გზა რიგითი ეკონომისტიდან მინისტრობამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში, ხოლო 1981-1990 წლებში ასრულებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოვალეობას. 1990 წლის 28 ოქტომბერს იგი აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად და საბიუჯეტო-საბანკო კომისიის თავმჯდომარედ. 1991 წლის ნოემბრიდან მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის მრეწვმშენბანკის თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შექმნის შემდეგ კი მის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ. ამავე დროს იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

დ. დვალიშვილი წლების განმავლობაში სამეურნეო საქმიანობას უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების კათედრის პროფესორი. არის მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში რესპუბლიკის პრემიის ლაურეატი. უპარტიოა, ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი
დემურ დვალიშვილი

●

— როგორ შეაფასებდით, ძალიან მოკლედ, საქართველოს დღევანდელ საბანკო სისტემის მდგომარეობას?

— საბანკო სისტემა საქართველოს მთელი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია და, ბუნებრივია, რომ ეკონომიკის ზოგადი პრობლემები საბანკო სისტემის პრობლემებიცაა. ბევრი მათგანის გადაჭრა მხოლოდ ბანკის კომპეტენციაში არ შედის, თუმცა, თვით ბანკირებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორებაში. დღევანდელობის ყველაზე მწვავე პრობლემებს მიეკუთვნება: ანგარიშსწორების შეფერხება, ფულის ნიშნების უკმარისობა და ინფლაციური მოვლენების განვითარება.

სამწუხაროდ, ჯერ საქართველო მანეთის ზონაშია, თითქმის უძლურნი ვართ რაიმე ზეგავლენა მოვახდინოთ უკანასკნელ ორ პრობლემაზე და მთლიანად დამოკიდებული ვრჩებით რუსეთის და მანეთის ზონის სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ვითარებაზე.

— რა არის საჭირო ამჟამად შექმნილი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და კონკრეტულად რისი გაკეთებაა აუცილებელი უახლოესი თვეების მანძილზე?

— ვიდრე ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, ორ გარემოებაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ეკონომიკური ცხოვრების კოორდინაციის ორი წესი: ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, დაკავშირებული ძალადობასა და ტოტალიტარულ რეჟიმთან, რომელშიც აქამდე ვიმყოფებოდით, და მეორე, ინდივიდუალურ ნებაყოფლობით თანამშრომლობასთან, რომლის მეთოდი საბაზრო ეკონომიკაა. ჩვენმა სახელმწიფომ თავის გზად საბაზრო ურთიერთობანი აირჩია, რამაც უნდა უზრუნველყოს სწორედ კრიზისიდან გამოსვლა, აღმავლობა და განვითარება. ამიტომ დღესავით ნათელია, რომ ჩვენი საბანკო სისტემა საფუძვლიან რეფორმას მოითხოვს. ეს მეტად რთული და შრომატევადი პროცესი იქნება, რომლის განხორციელება უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს. ცვლილებები უნდა შეეხოს საბანკო საქმიანობის ყველა სფეროს, როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ისე საბანკო ოპერაციებს და თვით სტრუქტურასაც. რაც შეეხება კონკრეტულ ნაბიჯებს, უწინარესად, შესაცვლელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესატანი საანგარიშსწორებო სისტემაში. მან უნდა უზრუნველყოს სწრაფი და სანდო ანგარიშსწორება ეკონომიკურ ერთეულებს შორის. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. დახმარებას გვიწევენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა ორგანიზაციების უცხოელი სპეციალისტები.

— როგორ გესახებათ დარგის მუშაობა საბაზრო ეკონომიკისა და საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში?

— ცივილიზებულ ქვეყნებში მიჩნეულია, რომ საბაზრო ურთიერთობის საფუძველია ნორმალურად მომუშავე საბანკო სისტემა. ამიტომ ნათელია, თუ რა როლი უნდა შეასრულოს ამ დარგმა ახალ ეკონომიკურ ურთიერთობაში. უნდა უარვყოთ საბჭოური ინსტრუქციები, შევქმნათ ჩვენი, ახალი, ისეთი, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას დააჩქარებს.

საბანკო სისტემა ეკონომიკის მარეგულირებელ ფუნქციებს ასრულებს, სწორედ ბანკი ხდება ის დასაყრდენი ძალა, რომლის მეშვეობითაც ქვეყანა თავს აღწევს ეკონომიკურ კრიზისებს, სუსტი საბანკო-საფინანსო სისტემა კი თავადაა მეტად მძიმე კრიზისების გამომწვევი.

საუბარი ჩაიწერა
ზაურ არსიანიძემ.

ნომერში

◎ მთავრობა უძლურია, რომ შეაჩეროს ძარცვის პროცესი. 2
◎ ჩიტი ისე ძვირია, რომ ბდღვნად ღირს 4

თუ პატრიოტი გქვია...

ამას წინათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** მიიღო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი და მადლობა მოახსენა გამოჩენილი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის, რაც იმით გამოიხატა, რომ სახელმწიფოს ჩააბარეს ცეცხლსასროლი იარაღი რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

მოლაპარაკება მოსკოვში გრძელდება

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გვაცნობეს, გრძელდება მოლაპარაკების პროცესი საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის. საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროებისა და უწყებების — ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის, საბაჟო კომიტეტის, ეროვნული ბანკის — ოცამდე მაღალი რანგის ექსპერტი 12 იანვარს გაემგზავრა მოსკოვში რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად. კერძოდ, საქართველოსათვის გამოყოფილი ტექნიკური კრედიტის ფარგლებში 1993 წელს ერთმანეთისათვის მისაწოდებელი პროდუქციის სახეობების, ფასისა და მოცულობების დასადგენად, ორმხრივ ურთიერთობაში ფულად-საკრედიტო, ბანკთშორისი, საბაჟო პოლიტიკის დასაზუსტებლად და სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ფართო სპექტრის მოსაგვარებლად.

ნავარაუდევია, რომ მოლაპარაკება 20 იანვრამდე გასტანს.

მზადდება ორმხრივი შეთანხმება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი მოსკოვში

13 იანვარს რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე რუცკოიმ მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი თეიმურაზ ხაჩიშვილი.

ამ შეხვედრით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამთავრა თავისი გასაცნობი ვიზიტი მოსკოვში. 11 იანვარს თ. ხაჩიშვილი უკვე შეხვდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ერინს, რომელზეც მიიღეს მორიგება საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის თანამშრომლობის ორმხრივი შეთანხმების მომზადების შესახებ. შეთანხმების პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს.

ბატონ რუცკოისთან შეხვედრისას თეიმურაზ ხაჩიშვილმა ვიცე-პრეზიდენტს გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მისალმება და საუკეთესო სურვილები და გამოთქვა იმედი, რომ რაც შეიძლება მალე დამყარდება ურთიერთგაგება ორ სახელმწიფოს შორის, რაც ხელს შეუწყობს პრობლემათა გადაჭრას რესპუბლიკაში.

ბატონ ხაჩიშვილს რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა განუცხადა, რომ უაღრესად მეგობრულად არის განწყობილი საქართველოსა და მისი ხალხისადმი, რომ რუსეთი ისწრაფვის საქართველოსთან დაამყაროს ჭეშმარიტად კეთილმეზობლური ურთიერთობა. ბატონმა რუცკოიმ გამოთქვა რწმენა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაწყდება.

კირა ანდრონიკაშვილი,
საქართველოს საელჩოს პრესცენტრი.

ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს მომავალი

თავდაცვის ფონდს შეეწივნენ

◎ **დეპარტამენტ** „საქენერგოს" საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებმა ხელფასიდან ქვეყნის თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 3 მილიონი მანეთი.

გარდა აღნიშნულისა, „საქენერგოს" აპარატისა და ენერგოობიექტების ხელმძღვანელმა მუშაკებმა პირადი დანაზოგიდან თავდაცვის ფონდში ჩარიცხეს თითოეულმა ერთი თვის ხელფასის შესაბამისი თანხა საერთო რაოდენობით 519 ათას 400 მანეთი.

◎ **მილიონი** მანეთი გადარიცხა საქართველოს თავდაცვის ფონდში „კავკასგვირაბმშენის" სახელმწიფო დამოუკიდებელი ფირმის კოლექტივმა.

◎ **თბილისის** გლდანის რაიონის სასამართლოს თანამშრომლებმა თავიანთი ხელფასის ნაწილი 30.000 მანეთი გადარიცხეს საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდში.

◎ **საქართველოს** რესპუბლიკის პროკურატურამ თავდაცვის ფონდში ჩარიცხა — 524100 მანეთი, თანხის ჩარიცხვა გრძელდება.

◎ **დავით** აღმაშენებლის საზოგადოების ახალგაზრდული მშენებლობისა და ახალგაზრდა ოჯახებზე დახმარების ფონდის მიერ რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში გადარიცხულია 50 ათასი მანეთი.

◎ **დავით** აღმაშენებლის საზოგადოების გორის განყოფილებამ თავდაცვის ფონდში გადარიცხა 100.000 მანეთი.

◎ **საქართველოს** რესპუბლიკის პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტმა საქართველოს თავდაცვის ფონდში გადარიცხა 700 ათასი მანეთი.

◎ **საწარმოო** გაერთიანება „საქარამადნეულის" სათაო საწარმოს მარნეულის არამადნეულის მასალების ქარხანამ (გენერალური დირექტორი ვ. ტაბატაძე) რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში გადარიცხა 100 ათასი მანეთი. ამას გარდა ქარხნის კოლექტივმა თავდაცვის ობიექტების მშენებლობისათვის გამოყო 700 ათასი მანეთის ღირებულების ორი ათასი კუბური მეტრი ინერტული მასალა.

◎ **ბორჯომის** რაიონის ქობისხევის მოსახლეობამ შეაგროვა და თავდაცვის ფონდში შეიტანა 10.200 მანეთი.

◎ **ბათუმის** ფირმა „აკვა-შოუს" კოლექტივმა (დირექტორი გოგი იოსავა) რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში 100 ათასი მანეთი შეიტანა.

ჯერჯერობით წინასწარ ვერ შეიძენთ

შეწყდა ახლო და შორი მიმოსვლის მატარებლებზე ბილეთების წინასწარი გაყიდვა. რესპუბლიკის რკინიგზის დეპარტამენტი იძულებული გახდა ამ ზომებისათვის მიემართა იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანს გახშირდა შეფერხებები ელექტროენერგიის მიწოდებაში რკინიგზის სხვადასხვა მონაკვეთზე.

ნიკოლოზ სანიშვილი—90

ბატონო ნიკოლოზ!

გილოცავთ ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავს! გისურვებთ ჯანის სიმრთელეს და სულის სიმხნევეს!

ოთხმოცდაათი წელი — ეს დიდი გზაა. აქ უკვე ადამიანს შეუძლია შეაჯამოს თავისი ნათქვამი, თავისი ნამოქმედარი, თავისი ნამოღვაწარი. თქვენ სწორედ იმ ღვაწლმოსილ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნით, ვისაც სრული უფლება აქვს იამაყოს განვლილი გზით, იამაყოს როგორც მოქალაქემ, როგორც პროფესიონალმა. მსოფლიოში აღიარებული ქართული კინემატოგრაფის, ქართული კინოსკოლის სათავეებთან მოევლინეთ თქვენ ქართულ საზოგადოებრიობას. ფესვები იქსოვებოდა მხოლოდ მაშინ, გზის დასაწყისში. ხოლო ის, რასაც ჩვენ ქართული კინოს აღიარებას ვუწოდებთ, ქართული კინოს სახელს, მერე მოვიდა.

თქვენ დიდი წვლილი მიგიძღვით ამ სახელის დამკვიდრებაში. მრავალმხრივია თქვენი, როგორც შემოქმედის ნიჭი, მაგრამ ამჯერად ერთი რამ მინდა გავიხსენო: თქვენ, თქვენი ხელოვნებით ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხის მეგობრობასაც უმღერეთ, მეგობრობას, რომელიც ისტორიულმა ბედუკუღმართობამ დღეს ასე გაბზარა. სწორედ დღეს, საქართველოს ისტორიის ამ უმძიმეს და პასუხსაგებ ეტაპზე, თქვენეული ღრმა მზერა გვჭირდება, ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული თქვენეული განსჯა და ფიქრი.

გისურვებთ ულევ სულიერ და ფიზიკურ ენერგიას. თქვენი ოჯახის მეგობრებისა და კოლეგების, მოწაფეების, თქვენი საქართველოს საკეთილდღეოდ!

დღეგრძელი იყავით!

ედუარდ შევარდნაძე.

ვულოცავთ!

„ას ორ წლამდე მიწერია სიცოცხლე!..“

აცხადებს 90 წლის ნიკოლოზ სანიშვილი და ახალი ფილმის გადასაღებად ემზადება

ვისაც კინორეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილის მოგონებები წაუკითხავს (ორი თუ სამი წლის წინათ დაიბეჭდა „ჟურნალ ახალ ფილმებში“), დამეთანხმება, რომ ამ პიროვნებას მართლაც საინტერესო და ღირსშესანიშნავი მოვლენებით აღსავსე ცხოვრების გზა გაუვლია და ბოლომდე შეუსვამს ამა სოფლისა ტკბილ-მწარე.

ქუთაისიდან იწყება ეს გზა... კლასიკური გიმნაზია, მუსიკალური სასწავლებელი, სპორტით, კერძოდ ფეხბურთით გატაცება... და, საბოლოოდ, ქართული კინემატოგრაფი...

კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის ნაუბარი:

— ღვთისნიერი კაცია ბატონი ნიკოლოზი... (ქრისტეშობის დღეს არის დაბადებული). ოცი წელია კინოსტუდიის დირექტორი ვარ და, არ მახსოვს ჩემს კაბინეტში მას ვინმეზე ოდესმე გადაბრუნებული სიტყვა ეთქვას. პირიქით: ყველას წარმატება უხარია, ყველას სიხარულს იზიარებს...

დიდი ღვაწლი დასდო ბატონმა კოლიამ ქართული კინემატოგრაფის ჩამოყალიბებასა და აღმავლობას. ნახეთ, რა მრავალფეროვანია ჟანრობრივად მისი შემოქმედება: დაუვიწყარი „დავით გურამიშვილი“ (იოსებ თუმანიშვილთან ერთად) და „ხევისბერი გოჩა“, „გაზაფხული საკენში“ (ნეტა, თუ ახსოვს ზოგიერთ აფხაზს!) და „ბედნიერ შეხვედრა“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ და „შეხვედრა მთაში“, „ჩერმენი“ (ოს ვაჟკაცზე შექმნილი შესანიშნავი კინონაწარმოებები!), „აბეზარა“... და კიდევ ბევრი სხვა... ეს ხომ ქართული კინოს ისტორიაა...

შეკრებილიყვნენ ქართველი კინომოღვაწენი კინოსტუდიის გამოყოფილ საპრეზიდიო დარბაზში, პალტოებ-ქურთუკებიანნი ისხდნენ და სიყვარულს უმხელდნენ „ეროვნული კინოს ბერმუხას“. (რეზო ესაძის შედარებაა) ნიკოლოზ სანიშვილს. გამთბარიყო დარბაზი გულწრფელობითა და ღიმილით, კინოკორპორაციის თავმჯდომარემ რევაზ ჩხეიძემ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მისალოცი წაუკითხა იუბილარს. ნიკოლოზ სანიშვილს მიესალმნენ დოდო ჭიჭინაძე, გიორგი გეგეჭკორი, რეზო ესაძე, თემურ ფალავანდიშვილი...

რეზო ესაძე: — თქვენს ფილმებს ველოდით, თქვენს ფილმებზე ვიზრდებოდით... ჩემი სოფლის ეკლესიაში კლუბი იყო და, იქ, პირდაპირ იატაკზე დამსხდარი ბავშვები ვნახულობდით კინოებს. რომ იცოდეთ, რა ტაშისცემით ვეგებებოდით თქვენი ფილმების გმირებს... ეს, ალბათ, ყველაზე გულწრფელი ტაში იყო... თქვენ არასდროს ყოფილხართ ბედს მინდობილი, თვითონ სჭედდით საკუთარ ბედს.. მჯერა, ძია კოლია, რომ კიდევ დიდხანს იცოცხლებთ და ყოჩაღად იქნებით...“

რეზო ესაძის რწმენას თვითონ იუბილარი ასაბუთებს — ისეთ რამეს გვიამბობს, გაკვირვებისაგან პირებს ვაღებთ:

— „დავით გურამიშვილის“ რამდენიმე ეპიზოდს კრასნოდარის ოლქში ვიღებდით. ერთ დღეს ჟორა შავგულიძე მეუბნება: კოლია, მანქანას თუ მათხოვებ, რაიონულ ცენტრში, ბაზარში წავალ და რამე-რუმეებს მოვიტანო. მეც წავყევი. ვხედავ, ბაზართან ერთ ქალს „მარჩიელი“ თუთიყუში დაუსვამს კალათაზე და ისიც მსურველს ბედისწერას უწინასწარმეტყველებს — დასორსოლებულ ქაღალდს აწვდის...

— მოდი, ერთი გავიგოთ, რა მოგველისო, — მხიარულად მეუბნება ჟორა. „მარჩიელმა“ თუთიყუშმა ჩვენ-ჩვენი ქაღალდები ამოიღო კალათიდან. გავხსენი და ვკითხულობ: „კარგი საქმეების დაწყების დღე — პარასკევი; ორჯერ იქორწინებთ; ას ორ წელიწადს იცოცხლებ“.

რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე სამეგრელოში ვართ და „ბედნიერ შეხვედრას“ ვიღებთ. ერთხელაც ჟორა შავგულიძე მეუბნება: კოლია, მანქანს თუ მათხოვებ, ზუგდიდის ბაზრიდან ისეთ სულგუნს მოგიტან, სულ რძე გასდიოდესო. ერთად წავედით, ვიყიდეთ სულგუნი, გამოვედით და ვხედავ ბაზრის კარებთან ქალი „მარჩიელი“ თუთიყუშით ხალხს ბედს უწინასწარმეტყველებს.

გამხიარულდა ჟორა, გამახსენა კრასნოდარის ოლქში, ბაზარში რაც შეგვემთხვა და მეუბნება: მოდი, ერთხელაც ვცადოთ, რაც იქნება, იქნებაო...

ამოიღო თუთიყუშმა ქაღალდი, გავხსენი და, ბიჭოს! — „კარგი საქმეების დაწყების დღე — პარასკევი; ორჯერ იქორწინებ; ას ორ წელიწადს იცოცხლებ“... ზუსტად ისეთივე წინასწარმეტყველება... კაცობას გეფიცებით, ასე იყო ეს საქმე, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.. თუმცა, შეიძლება ბევრმა იცით, რომ ყველა მნიშვნელოვან საქმეს — მაგალითად გადაღებას — მე პარასკევობით ვიწყებ და ნაქორწინებიც ორჯერ ვარ... ჰოდა, აგერ იქნებით თქვენც, თუ ას ორ წლამდე არ გავძლო...

სიცილით, ხალისით ამბობს 90 წლის იუბილარი და ჩვენც რა უფლება გვაქვს არ დავიჯეროთ.

— ბატონო ნიკოლოზ, მაინც რას ინატრებდით ამ წუთას? — ვეუბნები შეხვედრის დამთავრების შემდეგ.

— ახალგაზრდული წლების დაბრუნებას... მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზეთში წავიდე და ჩვენს მამაც ბიჭებს დავუდგე გვერდში...

— ფილმის გადაღებას ხომ არ აპირებთ?

— რატომაც არა, თურქ კინემატოგრაფისტებთან მაქვს მოლაპარაკება პარმენ ლორიას რომანის — „დილი მურადის“ გადაღების თაობაზე. სცენარი მე თვითონ დავწერე... მონდომებული არიან თურქები და ალბათ გადაღებებსაც დავიწყებთ...

ღმერთმა გისმინოთ, მე პირადად ეგ არ გამიკვირდება.

ვილენ მარდალეიშვილი.

„კონტაქტი“ გვატყობინებს

ზუგდიდის გამგებელმა ოთარ ფაცაციამ საინფორმაციო სააგენტო „კონტაქტს“ აცნობა, რომ რაიონში შედარებით სტაბილური ვითარებაა. გუშინ, — აღნიშნა ბატონმა ოთარმა — ადგილი ჰქონდა ყაჩაღობის ერთ ფაქტს, მაგრამ კრიმინოგენური ვითარება იმასთან შედარებით, რაც ერთი თვის წინ იყო, საგრძნობლად გაუმჯობესებულია. ქალაქში ცხვება პური, სოფლებს დაურიგდათ ფქვილი. მაგრამ განვიცდით საწვავის დიდ დეფიციტს. ელექტროენერგიასაც შეზღუდულად ვიღებთ. ჩავაბარეთ 150 ტონამდე მანდარინი. მაგრამ ესეც ცხენებითა და ურმებით გამოვზიდეთ. საკონსერვო ქარხანას დღეში ბარდება 20 ტონა ციტრუსი. საწვავი რომ გვქონოდა შევძლებდით 1500 ტონა ციტრუსის ჩაბარებას. ვვარაუდობთ კიდევ 200 ტონის ჩაბარებას, ხოლო თუ საწვავი გვექნა, უფრო მეტსაც ჩავაბარებთ. ვცდილობთ გავატაროთ რადიკალური ღონისძიებები, რომ დამყარდეს სრული საზოგადოებრივი წესრიგი. ჩვენი მიზანი სრულებით არ არის ანგარიშსწორება, გვინდა ვამუშაოთ ყველა. ურთიერთთანადგომა, ერთმანეთის დანდობა არის აუცილებელი, რომ წინ წავწიოთ საერთო საქმე. ამჟამად, ქალაქში მუშაობს, ქალაქის კომბინატი თითქმის სრულად ერთი საამქროს გარდა, მუშაობს ფაიფურის და საკონსერვო ქარხნები. აგრეთვე, ჩაის სამი დამფასოებელი ფაბრიკა; სკოლებში განახლდა სწავლა.

●

საშობაო დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა წარმომადგენლობამ ქ. ბათუმში პატარებისათვის სამი ათასი ამერიკული დოლარი გაიღო. თურქეთის რესპუბლიკის ართვინელმა ბიზნესმენმა ჰუსეინ აიდუგანმა კი 100 000 მანეთი და ამ თანხით შეიძინა და ჩამოიტანა მედიკამენტები და ტკბილეული. აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტრო სამასი ათასი მანეთით შეეწია ქ. ბათუმის და მახინჯაურის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს. 500 მარტოხელ, პენსიონერს და 16 წლამდე ინვალიდ ბავშვებს გაეწია ერთჯერადი დახმარება.

●

თურქეთის გენერალურმა საკონსულომ ბათუმში გვაცნობა, რომ მეზობელი ქვეყნის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარება გაუწიოს შიდა ქართლს, სადაც ეროვნებათშორის კონფლიქტებისა და სტიქიური უბედურებების შედეგად მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად თურქეთის წითელმა ნახევარმთვარემ შიდა ქართლში გაგზავნა 660 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების ტვირთი. ეს არის კვების პროდუქტები, მედიკამენტები, გენერატორები. ჰუმანიტარული ტვირთი მოაქვს ექვს სატვირთო ავტომანქანას, რომელსაც ახლავს დაცვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესცენტრის ცნობით, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ამჟამად სამუშაო ხანმოკლე ვიზიტით იმყოფება მოსკოვში იმ საქმიანი მოლაპარაკების გასაგრძელებლად, რომელიც ახალი წლისთვის შეწყდა. ვიზიტის დროს დასახულია შეხვედრები რუსეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან.

ქვეყანა შველას ითხოვს

ეკონომიკური კატასტროფა:

როგორ ამოვიდეთ უფსკრულიდან?



სტატიას საფუძვლად დაედო ავტორის მოხსენება საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოების გამგეობის გაფართოებულ პლენუმზე 1992 წლის 24 დეკემბერს.

ვალერიან ადამია

ფაქტები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკას დაუდგა ისეთი ძლიერი დაქვეითება, როგორიც არ ჰქონია უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე. იყო ცდები, დაისახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისათვის, მაგრამ ისინი ვეღარ შესრულდა და ვერც შესრულდებოდა, რადგან არ იყო პოლიტიკური სტაბილიზაცია. უფრო მეტიც, დივერსიები, აფეთქებები და ნგრევა ჯერაც არ შეჩერებულა, პირიქით, გაძლიერდა კიდეც. ყოველივე ამას აგვისტოდან დაემატა ომი აფხაზეთში, სინამდვილეში — ომი რუსეთთან.

1992 წლის მეორე ნახევრიდან საქართველო ფაქტობრივად რუსეთის ეკონომიკურ ბლოკადაშია. ხელისუფლების ყოველდღიურ საზრუნავად იქცა (ომის წარმოების პარალელურად) ერის, მთელი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის უზრუნველყოფა, რასაც იგი დიდი გაჭირვებით ართმევს თავს.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მონაცემებით, 1992 წლის იანვარ-ნოემბერში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის ნახევრად შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მრეწველობის პროდუქცია 1991 წელს წინა წელთან შედარებით უკვე იყო შემცირებული 1/5-ით, აღმოჩნდება, რომ წარმოების დღევანდელი დონე 1990 წლის მხოლოდ 2/5-ს თუ შეადგენს.

მრეწველობის ყველა დარგი განიცდის ღრმა კრიზისს, რომლის ძირითადი მიზეზებია პოლიტიკური არასტაბილურობა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მკვეთრი დეფიციტი, ტრანსპორტის მოშლილობა, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირების რღვევა, შრომის დისციპლინის დაცემა, ომი, ეკონომიკური ბლოკადა, ერთიანი მტკიცე ხელისუფლების არარსებობა, დივერსიები, ბანდიტობა და სხვ.

ღრმა კრიზისმა მოიცვა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლის კვალობაზე მკვეთრად შემცირდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, თანაც მას არ მოჰყოლია კერძო საკუთრებაში სულადობის შესაბამისი ზრდა. ეჭვქვეშაა ჯოგის მარტივი კვლავწარმოებაც კი.

უმძიმესია ვითარება ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. მკვეთრად დაეცა საბინაო მშენებლობა. კრიზისულ ზღვარზეა, უფრო ზუსტად, იშლება კომუნალური მეურნეობა.

მთლიანად ეკონომიკაში ინვესტიციური კრიზისია. მოწყობილობის იმპორტი შეწყდა და მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო აპარატის ცვეთამ კრიტიკულ წერტილს მიაღწია. მისი განახლება არ ხდება და გამოსადეგ მდგომარეობაში შენახვა, შენარჩუნებაც სულ უფრო ძნელდება.

საერთოდ დაეცა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა.

არსებითად მოიშალა ფინანსები. ბიუჯეტის დეფიციტი კოლოსალურია, ბიუჯეტი ფაქტობრივად მხოლოდ ქაღალდზეა, ინფლაცია უმართავია.

არც ჩანს ზღვარი, თუ სადამდე შეიძლება დაეცეს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრების დონე. უკანასკნელ ორ წელიწადში მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები გაიზარდა 50-100-ჯერ და მეტად. მატულობს ღია და ფარული უმუშევრობა, როცა ბევრი საწარმო გაჩერებულია, ბევრი კადრის შემცირებულ სამუშაო დღეზე და კვირაზე. ფართო ხასიათი მიიღო მუშაკთა გაშვებამ უხელფასო შვებულებაში.

პერსპექტივაში ისახება უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. სიღატაკის ზღვარზეა მოსახლეობის ჭარბი ნაწილი. რუსეთის სოციალური პრობლემებისა და დემოგრაფიის ინსტიტუტის მონაცემებით იქ მოსახლეობის 17 პროცენტი სიკვდილის ზღვარზეა. არც ჩვენთან არის უკეთესობა.

სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, საქართველოში უფრო ღრმა ეკონომიკური კრიზისი განპირობებულია იმითაც, რომ მიტინგების, გაფიცვების, გზების გადაკეტვის, „ეროვნული ხელისუფლების“ მიერ მოწყობილი ეკონომიკური თვითბლოკადის შედეგად პარალიზებული იყო მთელი ეკონომიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება. რეალურად არ იყო არც მუშაობა და არც სწავლა. კომუნისტური რეჟიმი კი დავამხეთ, მაგრამ, სამწუხაროდ ეკონომიკაც მოვშალეთ და ადრინდელ რეჟიმზე უარესი მივიღეთ, რომელიც ხელახლა დასამხობი გახდა და რომელმაც უზარმაზარი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვია.

ამას დაემატა ახლავე მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი, სახელმწიფო საკუთრების მასობრივი დატაცება, რაც დაიწყო კომუნისტური რეჟიმის დროს ჯერ კიდევ ხელისუფლებაში არ მისული ძალების ხალხისადმი პირდაპირი მოწოდებით — წაიღეთ ყველაფერი. ეს გაგრძელდა „ეროვნული ხელისუფლების“ არსებობის მანძილზე, როცა თვით ხელისუფლებამაც გაძარცვა სახელმწიფო ქონება და ხაზინა.

ძარცვა გრძელდება დღესაც. სახელმწიფო ქონების საყოველთაო ძარცვის, ქურდობის, დატაცების და უცხოეთში გაყიდვის ის მასშტაბი, რაც საქართველოშია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, ალბათ არ ახსოვს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას. მთავრობა უძლურია შეაჩეროს ძარცვის ეს პროცესი.

საზოგადოებრივი, სახელმწიფო ქონების ძარცვის პარალელურად საომარი მოქმედების ზონებში და მთელ რიგ სხვა რეგიონებში, (მაგალითად, სამეგრელოში). ფართო მასშტაბი მიიღო სხვა რაიონებიდან ჩასულ ქართველთა მიერ ქართველთა ძარცვამ. ათიათასობით ქართველთა ოჯახებიდან მანქანებმა, ავეჯმა, ტელევიზორებმა, სხვა საოჯახო ქონებამ, დანა-ჩანგალმა და ფინჯნებმაც კი სხვა ათიათასობით ქართველთა ოჯახებში გადაინაცვლა და ამის შესახებ დუმს მთელი საქართველო. ეს უკვე ერის ზნეობრივი კრახია.

ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, სოციალურმა და ზნეობრივმა კრახმა, სადამდეც მიიყვანა ქვეყანა „ეროვნულმა ხელისუფლებამ“, შექმნა ერის გადაგვარების რეალური საფრთხე. ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაკარგა არა მარტო ეროვნული, არამედ ადამიანური სახეც, მათი ფსიქიკაც კი მოშლილია.

გადაგვარების პროცესი გრძელდება. კორუფცია და დანაშაულებათა მკვეთრი ზრდა უბრალოდ მისი ყველაზე ხილული მხარეა.

სომალიზაციის პროცესი ჩვენში მალე იქამდე მიგვიყვანს, რომ მასობრივი შიმშილობისას (რაც რეალურია) თუ ცივილიზებული მსოფლიო სურსათით დაგვეხმარება, მას ჯარიც თუ არ მოაყოლა, პროდუქტები ბანდიტების ხელში აღმოჩნდება და მოშიმშილეებამდე ვერ მიაღწევს. სწორედ ისე, როგორც დღეს სომალიშია.

სურათი ყველასათვის ნათელი უნდა იყოს. წარმოების დაცემა, ეკონომიკის და ზნეობის მოშლა ძლიერდება და არც რაიმე იმედია, რომ იგი მალე შეჩერდება. ეკონომიკის კოლაფსია, ანარქიისწინა მდგომარეობაა. თუ სასწრაფოდ ქმედითი ზომებს არ მივიღეთ, მას მალე მოჰყვება სრული დაშლა, ეკონომიკის კლინიკური სიკვდილი, საიდანაც გამოყვანა შეუძლებელი გახდება.

ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ბოლო წლებში შექმნილი ვითარების ჩვეული შეფასებები ბევრს გადაჭარბებულად მკაცრად ეჩვენება და, ასე განსაჯეთ, აღიზიანებს კიდეც. მაგრამ რეალური სინამდვილე კიდევ უფრო უარესია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი ჩემი წინასწარმეტყველება ახდა. მანამ, სანამ მოსახლეობის უმრავლესობა არ გაიგებს „ეროვნული ხელისუფლების“ არჩევანა და მის აუცილებელ დამხობასთან დაკავშირებული კატასტროფის მასშტაბებს და არ გამოფხიზლდება, არაფერი გვეშველება. უნდა გაიმართოს ღია, გაბედული დისკუსია და ითქვას ყველაფერი იმის შესახებ, რაზეც აქამდე თვალს ვხუჭავდით ან ვერ ვხედავდით.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ ბატონობს ტოტალიტარული, „მრგვალი აზროვნება“ (მრგვალი მაგიდისა), მისი პრინციპია: შენ რომ ლაპარაკობ, არ არის სწორი, ერის ინტერესების საზიანოა. მე რომ ვლაპარაკობ, მხოლოდ ესაა სწორი, აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, ერის ინტერესების შესაბამისია. ყოველგვარი არგუმენტების გარეშე. შეპასუხება გამორიცხულია. არათუ საწინააღმდეგო, არამედ განსხვავებული აზრიც ისტერიულ ყვირილს იწვევს მათი მხრივ.

აქედან გამომდინარე, უმოკლესი გზაა მტკიცებისათვის: მე ვარ პატრიოტი, შენ კი კრემლის აგენტი, ერის მოღალატე, დასაპატიმრებელი, ან უკეთეს შემთხვევაში, — სამშობლოდან გასაძევებელი.

ბრძოლა ეკონომიკურ უვიცობასთან, დემაგოგიასთან და პოპულიზმთან, ჩვენი ახლით დაქცევის მიუხედავად, ჯერ კიდევ უიმედოდ გამოიყურება. თუმცა რა უნდა ვთქვა ჩემს რიგით თანამემამულეებზე, როდესაც მათი რჩეულების უმრავლესობასაც პარლამენტში არ ესმის ეკონომიკაში ვითარების კატასტროფულობა და ამ საკითხზე ჩვენი 15-წუთიანი მოხსენების მოსმენაც კი არ ისურვა. მაგრამ თუ დღეს მაინც არ ვიტყვით სრულ სიმართლეს, ხვალ გვიან იქნება და საბოლოოდ დავიღუპებით.

ჩვენი ეკონომიკის დაცემის შეჩერება და შემდეგ კი მისი რეანიმაცია შეუძლებელია, თუ არ მივაღწიეთ მშვიდობას ქვეყანაში. ჩვენ კი საომარ ვითარებაში ვართ, უფრო მეტიც, ომს ვეწევით, დღევანდელი ეკონომიკით კი, რომელიც ჩვენ გვაქვს, ომის მოგება შეუძლებელია. თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ვეომებით ფაქტობრივად რუსეთს, ნათელი უნდა იყოს: ამ ომის მოგება სამხედრო ძალით გამორიცხულია. აქედან დასკვნაც ადვილად შეიძლება გავაკეთოთ: ომის უმოკლეს ვადაში დამთავრებისათვის ინტენსიურად უნდა ვეძებოთ პოლიტიკური მოწესრიგების გზები.

ომის დამთავრების შემდეგაც, თუ არ აღდგება პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყანაში, ბოლო არ მოეღება ბანდიტიზმს და შარაგზის ყაჩაღობას, თუ არ დამყარდება ელემენტარული წესრიგი და ხალხი არ დაუბრუნდება ნორმალურ სამეურნეო და სხვა საქმიანობას, ეკონომიკა ვერ გამოცოცხლდება, ვერც ბიზნესი განვითარდება. როგორი იდეალური კანონებიც უნდა მივიღოთ, მათ შორის უცხოური ინვესტიციების შესახებ, არცერთი ჭკუათმყოფელი ჩვენი თუ უცხოელი კაპიტალისტი ჩვენს მეურნეობაში არ დააბანდებს სახსრებს.

ნამდვილი სამეურნეო აღორძინება შეუძლებელი იქნება, თუ არ დამყარდა მშვიდობა მთელს ამიერკავკასიაში, თუ არ შეწყდა კონფლიქტი ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რაც უშუალოდ აისახება ჩვენზეც. ამიტომ საქართველომ უნდა თქვას თავისი ავტორიტეტული სიტყვა აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებისათვის.

ნამდვილი სამეურნეო აღორძინება შეუძლებელი იქნება, თუ არ შეიქმნა ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ფართო მასების მხარდაჭერით სარგებლობს. ლეგიტიმური ხელისუფლება არსებობს. იგი საჭიროებს განმტკიცებას, არც ერის ექსპრეზიდენტისეული დაყოფა წითლებად და თეთრებად უწყობს ხელს კონსოლიდაციას. აუცილებელია ეროვნული თანხმობა, ყველას გაერთიანება ერთი მიზნით: დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აშენებისათვის. ყველა სხვა, მით უფრო ახალი გადატრიალება, მიგვიყვანს სახელმწიფოს დაშლასთან, ქაოსთან, დიქტატურასთან და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვასთან. მით უმეტეს, რომ ჩვენს დიდ მეზობელ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები, რეაქციული ძალების გამოცოცხლება გვიჩვენებს: ჯერ კიდევ არა ვართ დაზღვეული 1921 წლის 25 თებერვლის განმეორებისაგან.

აუცილებელია ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან მოშლილი ეკონომიკური კავშირების სრულფასოვანი აღდგენა ახალ პოლიტიკურ საფუძველზე. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ციფრი: ჩვენს მიერ მოხმარებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების 85 პროცენტს ვღებულობდით მათგან, ამ ერთი ციფრითაც ყველაფერი ნათელია. ენერგეტიკის გარეშე არავითარი ეკონომიკა არ არსებობს. ანალოგიური სურათია სხვა დარგებშიც.

ჩვენი ეკონომიკური კავშირები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მოიშალა. ახალი კავშირები სხვა ქვეყნებთან არ დაგვიმყარებია და არც ისე იოლია ამის გაკეთება ჩვენი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოების კულტურისა და აქედან გამომდინარე პროდუქციის ხარისხის პირობებში. იქ ყველაფერი გაწერილია: მყიდველიც და გამყიდველიც, პროდუქციის მოცულობაც და ხარისხიც. კონკურენციაა და, რა თქმა უნდა, არ გველიან გულის ფანცქალით. ჩვენ ვერც სწრაფად და ვერც იოლად ვერ „ჩავეწერებით“ მსოფლიო ბაზრის სისტემაში.

უნდა შევიგნოთ, რომ ეკონომიკურად ჩვენ ჯერ კიდევ ყოფილ სსრ კავშირის შემადგენლობაში ვართ და ვერც უცბად ამოვხტებით იქიდან, როგორც ეს პოლიტიკურად მოხდა. ჩვენ ახლა თავს ვიმშვიდებთ, რომ პოლიტიკურად უფრო დამოუკიდებელნი ვართ, ვიდრე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში შემავალი ქვეყნები. ჩვენმა უმძიმესმა მდგომარეობამ ეკონომიკის თვალსაზრისით პოლიტიკისა და ეკონომიკის ძლიერი ურთიერთდამოკიდებულების გამო შეიძლება ყველაფერი დაგვაკარგვინოს.

პოლიტიკოსებს შეუძლიათ წამოიყენონ საპირისპირო არგუმენტები. საჭიროა შედარება და აწონ-დაწონა იმისა, თუ რას ეწირება ეკონომიკური ინტერესები: რეალურ პოლიტიკურ დივიდენდებს, უბრალოდ ჩვენს ამბიციებს, თუ დიდი ხნის ნანატრი და მოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვის უბრალოდ შიშს.

სამწუხაროა, რომ ჩვენში ხშირად ხელი აწერია, გონიერება ტყვეობაშია, ეკონომიკური მიზანშეწონილობა უგულებელყოფილია, ერის მნიშვნელოვანი ნაწილი ეიფორიაშია და ილუზიებით ღრუბლებში ნავარდობს. საჭიროა კვლავ დავეშვათ ჩვენს ცოდვილ მიწაზე და მწარე რეალობას გავუსწოროთ თვალი.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ახალი ლაურეატები

შეჯამდა საუკეთესო სცენური ნაწარმოებების კონკურსის შედეგები

გამოცხადდა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ დაწესებულ პრემიათა ახალი ლაურეატები, გაირკვა საუკეთესო სცენური ნაწარმოებისათვის კონკურსის შედეგები (1991-1992). კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ: რეჟისორი **ლევან წულაძე** და თეატრალური მხატვარი **გიორგი გეგეჭკორი** — კამიუს „კალიგულასათვის“, რომელიც დაიდგა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში, აგრეთვე **ვახტანგ ტაბლიაშვილი** — წიგნისათვის „რეჟისორის ჩანაწერები“.

სანდრო ახმეტელის სახელობის პრემია მიენიჭა **კოტე მახარაძეს** — ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში დადგმული სპექტაკლისათვის „ბაგრატიონი“.

კონკურსის გამარჯვებულნი გახდნენ:

რეჟისურისათვის — **შალვა გაწერელია, გიზო ჟორდანია, ამირან შალიკაშვილი, ბექა ქავთარაძე.** აქტიორული ნამუშევრებისათვის: **ნაირა გლუნჩაძე, ლილი ხურიტი, ქეთევან ჩხეიძე, ნათელა მუმულიშვილი, ნინო ჯაშალაშვილი, რეზო თავართქილაძე, ალეკო მახარობლიშვილი, დიმიტრი ჯაიანი, ლერი მიშველიძე, ვალერი არღვლიანი, რეზო ჩხიკვიშვილი, ზაზა კაშიბაძე.** სცენოგრაფიისათვის: **აივენგო ჭელიძე და მამია მალაზონია.** საუკეთესო რეცენზიისათვის: **ეთერ გუგუშვილი.**

მიხეილ თუმანიშვილი — წლის საუკეთესო თეატრალური მოღვაწე

თეატრალური ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ დააწესა ყოველწლიური პრემია 10 000 მანეთის ოდენობით.

ეს პრემია წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტს, სახელგანთქმულ რეჟისორს **მიხეილ თუმანიშვილს.**

პარტიებსა და მოძრაობებში

მხოლოდ პოლიტიკური რეალიზმით

„ქარტია-91“-ის განცხადება

უკანასკნელ ხანს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოიკვეთა ერთი საშიში ტენდენცია, რომელიც კიდევ უფრო ძაბავს ისედაც უკიდურესად რთულ ვითარებას და ზრდის მოვლენათა არასასურველი განვითარების საფრთხეს.

ცნობილია, რომ ეროვნული იდეის დამარცხების უმოკლესი და მრავალნაცადი გზა ერის ზნეობრივი გადაგვარებაა, რასაც ხელს უწყობს ქვეყანაში ტოტალური შიშის ატმოსფეროს დამკვიდრება. დღეს, როცა ერთნი ახალი სახელმწიფო გადატრიალების დანაშაულებრივ იდეას ეთამაშებიან, ხოლო მეორენი ამგვარი გადატრიალების პერსპექტივას ნებსით თუ უნებლიედ საყოველთაო პანიკის გასავრცელებლად იყენებენ, თითქოს არავინ ფიქრობს იმ გამოუსწორებელ შედეგებზე, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს შიშით და გაურკვევლობით შეპყრობილი ეროვნული ცნობიერების რღვევას.

ყოველივე ამას თან ერთვის ავტორიტეტული განცხადებანი ჩვენი ეკონომიკის კატასტროფული მდგომარეობისა და ერთიან სამანეთო სივრცეში საქართველოს დარჩენის გარდაუვალი აუცილებლობის გამო. რაც კიდევ უფრო აღრმავებს სამხედრო წარუმატებლობითა თუ სამართლებრივი ქაოსით გამოწვეულ გულგატეხილობასა და ნიჰილიზმს. ჩვენის აზრით, სწორედ პოლიტიკური რეალიზმის პრინციპებისადმი ერთგულება უნდა გვაიძულებდეს წინ აღვუდგეთ ტოტალური შიშის ატმოსფეროს დამკვიდრების ყოველგვარ მცდელობას, რადგან ეს მოვლენა, გამოკვეთილი პოლიტიკური დოქტრინის უქონლობის პირობებში, თავად წარმოშობს ქვეყნისათვის საზიანო და უაღრესად საშიშ პოლიტიკურ რეალობებს.

„ქარტია-91“- იბრძოდა და იბრძოლებს მსგავსი მავნე ტენდენციების წინააღმდეგ მაშინაც კი, როცა ბოლომდე არ არის გარკვეული, თუ რას ეფუძნებიან ისინი — მავანთა პოლიტიკურ ამბიციებს, აზროვნების დრომოჭმულ სტერეოტიპს თუ შორსმიმავალ პოლიტიკურ გეგმებს.

13. 01. 93 წ. თბილისი.

დამნაშავეობასთან ბრძოლა მთელი საზოგადოებრიობის საზრუნავია

დამნაშავეობის პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია იმ პრობლემებს შორის, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს. სწორედ ამის თაობაზე ესაუბრა საქინფორმის კორესპონდენტი რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს თედო ნინიძეს.

— შეძლებენ თუ არა სამართალდამცავი ორგანოები დამნაშავეობის ალაგმვას, და როდის უნდა ველოდოთ რეალურ შედეგებს?

— ის, რაც კრიმინოგენული თვალსაზრისით საქართველოში ხდება, არ არის უბრალოდ დამნაშავეობის ზრდა, იგი გაცილებით მეტია, ვიდრე თუნდაც რადიკალური ცვლილებები დამნაშავეობის სტატისტიკაში. გასული და მიმდინარე წლისათვის ნიშანდობლივია დამნაშავეობა, როგორც ზვავისებური მოვლენა, რომელიც წალეკვით ემუქრება საზოგადოებას, მისი ცხოვრების წესს. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების ცხოვრების არაერთ სფეროში თავად დამნაშავეობა იქცა ნორმად. ასეთ ვითარებაში ცხადია, გულუბრყვილობა იქნებოდა მასთან ბრძოლისა და თავიდან აცილების ამოცანა დაეკისრო მხოლოდ სამართალდაცვის ორგანოებს, თანაც ქმედით შედეგებს ველოდოთ უახლოეს პერიოდში, დამნაშავეობასთან ბრძოლა უნდა იქცეს მთელი საზოგადოების ძირითად საზრუნავად. აუცილებელია სახელმწიფო ორგანოებმა შექმნან სათანადო ორგანიზაციული გარანტიები. საზოგადოების ძალისხმევით და სახელმწიფოებრივი გარანტიებით უნდა მოხდეს დამნაშავეობის, როგორც სოციალური პათოლოგიის, დაძლევა.

— რას გულისხმობთ ორგანიზაციულ გარანტიებში?

— პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს დამნაშავეობასთან ბრძოლის განსაზღვრული სისტემა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა ჩამოყალიბდეს ერთიანი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. ამ პოლიტიკამ უნდა მოიცვას მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმიანობა, რომელსაც სოციალური მიმართულება გააჩნია. ზოგად სოციალურ ღონისძიებებში უნდა შევიდეს ეკონომიკური, იდეოლოგიური, იურიდიული, სამედიცინო თუ სხვა ღონისძიებანი. სპეციალურ ღონისძიებებში — სისხლისსამართლებრივი, პენიტენციალური, კრიმინოლოგიური, პროცესუალური და სხვა. ჩვენი სახელმწიფოს სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა კონკრეტულად უნდა აისახოს დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთიან სახელმწიფო პროგრამაში. ჩემი აზრით დამნაშავეობასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა უნდა მოამზადონ სპეციალისტებმა და დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტმა. წინასწარ მინდა მოგახსენოთ, რომ რესპუბლიკის პროკურატურაში შინაგან საქმეთა სამინისტროს, სხვა სამართალდამცავი ორგანოების, მეცნიერთა ერთიანი ძალებით უკვე იქმნება ასეთი პროგრამის პროექტი, რომელსაც მალე წარვუდგენთ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს.

— შეიქმნა სამხედრო პროკურატურა, რომელიც გენერალურ პროკურორს დაექვემდებარება. რას ნიშნავს ეს?

— ცხადია, ეს არ ნიშნავს პროკურატურის სისტემის გასამხედროებას ან პროკურატურის რაიმე საგანგებო უფლებებით აღჭურვას. სამხედრო პროკურატურა არსებობს პროკურატურის ერთიან სისტემაში, ხელმძღვანელობს საერთო კანონმდებლობით. არსებითი განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ სამხედრო პროკურატურა ზედამხედველობას უწევს სამხედრო უწყებების, ორგანიზაციების და თანამდებობის პირების მიერ კანონების შესრულებას, აგრეთვე იმას, რომ მათ მიერ მიღებული აქტები და გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს კანონმდებლობას. სამხედრო პროკურატურა არ ერევა სამხედრო მმართველობის ორგანოების თავდაცვითს, მმართველობითს და სამეურნეო საქმიანობაში. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, სამხედრო პროკურატურას ექვემდებარება ის დანაშაულობანი, რომლებიც ჩაიდინეს სამხედრო მოსამსახურეებმა და სამხედრო ვალდებულებმა (სასწავლო შეკრებზე გავლის დროს), აგრეთვე საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ოფიცრებმა და რიგითებმა. მას ხელმძღვანელობს მთავარი სამხედრო პროკურორი. ამ უკანასკნელის მიერ გამოცემული აქტებისა თუ სხვა გადაწყვეტილებების გაუქმება, თუ კი ისინი არ შეესაბამებიან კანონს, შეუძლია მხოლოდ გენერალურ პროკურორს.

— დადის ხმები, რომ მალე გვექნება საველე პროკურატურა. ეს მართალია?

— არავითარი საველე პროკურატურის შექმნა მოსალოდნელი არ არის. ის, რაც სპონტანურად შეიქმნა საველე სასამართლოს სახით, იყო უკანონობა. ამ ცოტა ხნის წინათ პროკურატურამ გააკეთა განცხადება, რომ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილების გარეშე ეგრეთ წოდებული საველე სასამართლოს შექმნის ფაქტს მიიჩნევს კანონიერების დარღვევად, ხოლო ამ უკანონო საველე სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას განიხილავს როგორც შეიარაღებული კონფლიქტის ერთ-ერთ ეპიზოდს. ამ ეპიზოდებთან დაკავშირებით სამხედრო პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას.

— ჩვენი რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საკითხმა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. გვაინტერესებს პირადად თქვენი აზრი....

— ვიდრე სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე მოგახსენებდეთ, ჯერ — თავად სასჯელის ამ ღონისძიების შესახებ. არ მეგულება ჭკუათამყოფელი კაცი, ვისაც სასჯელის ეს განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა ზოგადად პოზიტიურ მოვლენად მიაჩნდეს. სასჯელის ეს ზომა არსებობს არა მარტო კანონთა კოდექსებში, არამედ საზოგადოების ცხოვრებაშიც, ხალხის, კერძოდ, ჩვენი ხალხის მენტალიტეტის ერთ-ერთი ელემენტის სახით. როცა ხალხი ხედავს, რომ სამართალდამცავი ორგანოები ჯეროვან სიმკაცრეს ვერ იჩენენ, სახელმწიფო ხშირად უძლურია დამნაშავეთა წინააღმდეგ — მიმართავენ თვითგასამართლებას, დამნაშავეთა ჩაქოლვას. ეს ხომ მეორე უკიდურესობაა. ხალხი იქცევა ბრბოდ. განა ეს დამაფიქრებელი არ არის?

სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკაში, ვიდრე კანონმდებლობა საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს შეესატყვისებოდეს, მოქმედებს სასჯელთა არსებული სისტემა და სახეები, სადაც გათვალისწინებულია დახვრეტა, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება. თუ რა ადგილს დაიჭერს სასჯელის ეს სახე ახალ სამართლებრივ სისტემაში, მომავალი გვიჩვენებს.

გულიკო მარკოზაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო ფოსტიდან

სპილენძის ციებ-ცხელება შეეყარა ამ ბოლო ხანებში საქართველოს. დღე ისე არ გავა, გაზეთებმა, რადიომ თუ ტელევიზიამ არ გვაუწყონ, როგორ ძარცვავენ ელექტროგადამცემ თუ სატელეფონო ხაზებს, ძვირფას ტექნოლოგიურ დანადგარებს, მოწყობილობებს, მანქანებს, გამოჰყავთ ისინი მწყობრიდან, აყენებენ მილიონობით მანეთის ზარალს ჩვენს ისედაც წყალწაღებულ ეკონომიკას, რათა მოიძიონ სპილენძის ნაგლეჯები, გაიტანონ ისინი უცხოეთში და გადაცვალონ ჩვრებზე.

ყაჩაღობა და ქურდობა დღეს უკვე აღარავის არ აკვირვებს, მაგრამ სპილენძის ქურდობისა და მის საზღვარგარეთ გატანაში აღანაშაულებენ ყველას, იმათ გარდა, ვინც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით პირველ რიგშია ვალდებული აღკვეთოს ეს დანაშაულებები. კერძოდ ლაპარაკია მესაზღვრეებზე, იმ ორგანოთა მუშაკებზე, ვინც ამას უნდა აკონტროლებდეს.

ქურდი სპილენძს იპარავს ერთი მიზნით, — გაიტანოს თურქეთში და იქ ხეირიანად გაასაღოს. აქ, საქართველოში სპილენძს მუშტარი არა ჰყავს, და ხანამ თურქეთის გზა გაიხსნებოდა, მსგავს დანაშაულზე კაციშვილს არაფერი სმენია.

იბადება კითხვა, სად უფრო ადვილია სპილენძის ქურდების შეპყრობა და სამართალში მიცემა? ცხადია, უმთავრესად იქ, საბაჟოსთან.

ამიტომაც ამ საკითხის გადასაწყვეტად არსებობს ერთადერთი რადიკალური გზა და საშუალება: საიმედოდ უნდა ჩაიკეტოს სახელმწიფო საზღვრის სულ რამდენიმე მეტრის მანძილი სარფში. თუ ამ პატარა უბანს გადავკეტავთ, ისე, რომ ყოველი ქურდი, რომელიც ეცდება სპილენძის გატანას თურქეთში, დაკავებული და სამართალში იქნება გადაცემული, მაშინ ყველას დაეკარგება ქურდობის სურვილი, რადგან, ვიმეორებ, სპილენძს იპარავენ თურქეთში გასატანად და არა ჩვენში გამოსაყენებლად.

საზღვარი კი უნდა გადაკეტონ და არ დაუშვან სპილენძის (და სხვა კონტრაბანდის) გატანა მესაზღვრეებმა და მებაჟეებმა.

ვახტანგ თულაშვილი,
გადამდგარი პოლკოვნიკი.

ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა.

და თუ დღეს ებრაელი ხალხი თავის უძველეს სამშობლოსკენ მიეშურება, ამას თავისი მიზეზი აქვს და ნურავის ჰგონია ეს ღალატი.

დღეს ონელი ებრაელობა ტოვებს რაჭის მიწა-წყალს და გულით მიაქვს საშინელი სევდა, თვალებზე ცრემლები უბრწყინავს, რადგანაც ძნელია დაემშვიდობო აღმზრდელ მშობლიურ გარემოს, წყალსა და ჰაერს, მთასა და ბარს, სახლსა და კარს, გარდაცვლილთა საფლავებს, მშვენიერ ხინკალს და თანმეზრდილ საყვარელ მეზობლებს, ქართული ენის სიყვარულს. უმრავლესობა მაინც წასვლას არჩევს, რადგან მდგომარეობის გამოსწორებას საქართველოში ბოლო არ უჩანს. ონში უკვე იგრძნობა ებრაელობის სიმცირე, ქალაქი თანდათან კარგავს თავის ძველ კოლორიტს, აღარ არის ხმაურიანი უბნები, აღარ ჩანს ებრაელთა ღიმილიანი სახეები, მათი საქმიანობით გამოწვეული სიხალისე და შემართება.

და მაინც, როცა აფხაზეთის მიწაზე ომი გაჩაღდა, ონელმა ებრაელობამ გულთან ახლოს მიიტანა რესპუბლიკის განსაცდელი და მყისვე დაიწყო რესპუბლიკის თავდაცვის ფონდისათვის მცირედი მოკრძალებული წვლილის შეგროვება. სულ მალე აქ 20000 მანეთი დააგროვეს და შეიტანეს თავდაცვის ფონდში.

ისრაელში მიმავალი ონელი ებრაელობა იმედს იტოვებს, რომ ჩვენი ქვეყანა — საქართველო გაუძლებს განსაცდელს და მიაღწევს თავიანთი რესპუბლიკის მთლიანობას და დაცვას, დამყარდება საყოველთაო მშვიდობა.

დანიელ ხახიაშვილი.
ონი.

ძვირფასო რედაქციავ! წერილი, რომელსაც გიგზავნით, ჩემი ნაფიქრალი, ნადარდევი და ნააზრევია. რა წლები არ გამოვიარე, ბევრჯერ მიგემია უსამართლობა და დაუნდობლობა, გაუტანლობა და ღალატი, მაგრამ არასოდეს ვყოფილვარ მარტო, მუდამ ვგრძნობდი მოყვასის მადლსა და სიკეთეს.

დღეს კი რას ვხედავ, ერთობა, ერთმანეთის გვერდში დგომის უნარი დაგვეკარგა, ამას უწინარეს ყოვლისა ტყეებში გასულ იმ ჩვენი ძმების გასაგონად ვამბობ, მივმართავ და მოვუწოდებ მათ, რომ არ არსებობს ბოროტი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩვენს შორის ძმობისა და სიყვარულის ჩაკვლა. ნებისმიერი წყენა გაივლის და ძმობა ადრე თუ გვიან მაინც გაიმარჯვებს.

ამის დრო უკვე დამდგარია, ჩვენი ერთმანეთში დავით გახალისებული უცხო გადამთიელი ბინძური ფეხებით კვლავ დააბიჯებს დედასაქართველოს მიწაზე და ძმებს გვიხოცავს.

გონს მოდით განაწყენებულო ძმებო, ტყუილმართალი თავის დროზე გავარჩიოთ, ახლა კი ჩვენი ქვეყნის მტერს ჩვენი თანადგომით გული გავუხეთქოთ, ერთად დავდგეთ გადამთიელი დაქირავებული მკვლელების წინააღმდეგ, რაც სამარადისო შერიგებისა და სამარადისო გამარჯვებათა დასაწყისი იქნება.

დაე, ყველამ იგრძნოს და დაინახოს, რომ ვერ დაამარცხებენ და მოსპობენ ქვეყანას, რომელიც მტკიცე ძმობით და სიყვარულით მარადიული სიცოცხლისთვის არის გაჩენილი.

ჯ. სანდერაშვილი,
ქ. წნორის საკრებულოს გამგებელი.

ამ უცხო სიტყვათაგან, ქართულს რომ მოეძალა ბოლო ხანს, ყველაზე მოდური „პრივატიზაცია“ გახლავთ.

როგორც ჩანს, ახლა ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობამ კარგად აღიქვა მიწისა და ბინების პრივატიზაცია. ალბათ არც კაფეების, სადალაქოების და სხვა მისთანათა პრივატიზაცია უნდა იყოს ურიგო. თავისი დადებითი მხარე აქვს მცირე თუ დიდ საწარმოთა პრივატიზებასაც. ამასთან საეჭვოა იმავეს თქმა შეიძლებოდეს წიგნის მაღაზიის შესახებ. მეტიც, წიგნის მაღაზიის პრივატიზება, თუ საგანგებოდ არ არის მითითებული, რომ იგი ამ აქციის შემდეგ ისევ წიგნის მაღაზიად უნდა დარჩეს, დანაშაულია.

ძალიან კარგად გვესმის, რომ „საქწიგნს“ ურთულესი საფინანსო-ეკონომიკური პირობები შეექმნა. ეს კი ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის დადგენილებაშიც არის აღნიშნული, მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მდგომარეობა გამოვასწოროთ.

ის, რაც ამ მიმართულებით უნდა გაკეთდეს, მოკლედ, თუმცა მეტად კონკრეტულად არის მითითებული იმავე დადგენილებაში და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ყველაფერი შესრულდება, შესრულდება უმოკლეს დროში, მაგრამ დღევანდელობით თუ ვიმსჯელებთ, საქმე ძალზე ცუდად არის — შესაძლოა წიგნის ზოგიერთი მაღაზია თვალსა და ხელს შუა გაგვექრეს... შორს არ წავალთ და ერთ მაგალითს დავასახელებთ.

ალბათ გახსოვთ საკმაოდ კარგი მაღაზია ვერაზე — „ჩირაღდანი“. მართალია, თავისი, ასე ვთქვათ, ძირითადი პროფილით იგი პოლიტიკური წიგნისა იყო, მაგრამ მასში უხვად ნახავდით მხატვრულ, სპორტულ და სხვა სახის ლიტერატურასაც. ამიტომაც „ჩირაღდანს“ მომხმარებელი არ აკლდა. ახლა რა გვაქვს? მაღაზიას გაუკეთდა რემონტი და წიგნის მოყვარულნი იმედგაცრუებული დარჩნენ... საქმე ის არის, რომ მაღაზია — არ ვიცით, პრივატიზებული თუ იჯარით აღებული, — ვაჭრობს იმპორტული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, სუნამოებითა და კვებით, საგალანტერეო ნივთებით და წამლებით... შეგიძლიათ აქ კარაქი ან ნაყინიც შეიძინოთ! კუთხეში კი მიყუჟულა წიგნების პატარა განყოფილება, რომელსაც იშვიათად თუ მიაკითხავს ვინმე...

ერთი საინტერესო დეტალიც. რუსთაველის გამზირს რომ დაუყვები, „საუნჯიდან“ მოყოლებული ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე „პედაგოგიური წიგნის“ მაღაზიამდე, ათზე მეტი წიგნის მაღაზია შეგხვდებათ — გამომცემლობა „მერანის“ სალონი, ხელმოწერის გამოცემათა, უცხოეთში გამოცემული წიგნებისა, ბუკინისტური, ტექნიკური წიგნისა, საკომისიო, სამედიცინო წიგნისა, აკადემიური წიგნისა და სხვა... ეს პატარა მონაკვეთი, რომლის სიგრძე ორი-სამი კილომეტრი თუ იქნება, ჩვენი კულტურის მაჩვენებელია. არა ერთ უცხოელ სტუმარს შეუდარებია იგი ევროპის სახელმწიფოთა ზოგიერთ ქალაქში მოთავსებულ წიგნით მოვაჭრეთა უბნებისათვის. ერთმა მათგანმა კი, გაიგო რა, რომ აქვეა განლაგებული მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი თავისი კორპუსებითა და გამომცემლობით, პედაგოგიური ინსტიტუტი, აღტაცებით თქვა: „თამამად შეგიძლიათ ამ გზას ინტელექტუალთა გამზირი“ უწოდოთ!“.

რა თქმა უნდა, „ინტელექტუალთა გამზირსა“ და სხვა მსგავს უბნებს გაფრთხილება სჭირდება! ჩვენი წინადადებაა — დედაქალაქის ყველა წიგნის მაღაზია მერიამ მუნიციპალურ საკუთრებად გამოაცხადოს და არავითარ პრივატიზაციას არ დაუქვემდებაროს.

ავთანდილ ბენდუქიძე — თსუ-ს დოცენტი, **მარკ პერელმანი** — ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. კანდიდატი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, **ჯონდო შარიქაძე** — თსუ-ს დოცენტი, **გიორგი ჯაფარიძე** — ფიზიკა-მათემატიკის მეცნ. კანდიდატი.

რამდენიც კაცია, იმდენი აზრია

რამდენიმე თვის წინათ ზესტაფონიდან ჭიათურაში ელექტრომატარებლები რეგულარულად დადიოდნენ. მიმდინარე წელს კი მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. ახლა ჭიათურაში ერთი მატარებელი 8 საათზე შემოდის. მეორე კი 12 საათის ინტერვალით — 20 საათზე.

საგულისხმოა, რომ ამ დროს ზესტაფონის რკინიგზის ისედაც გადატვირთულ სადგურზე ორი ელექტრომატარებელი ზესტაფონი-ხაშური და ზესტაფონი-ბათუმი გამგზავრების მოლოდინში 3-4 საათი დგას, მაშინ, როცა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ეს მატარებლები ჭიათურაში შემოდიოდნენ და ხაშურისა და სამტრედიის რეგიონებიდან მოსახლეობას მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შემოჰქონდა. ჭიათურაში შემომავალი ქუთაის-ჭიათურის ერთადერთი სამგზავრო მატარებელი, რომელიც ისეა მგზავრებით გატენილი, რომ დაჯდომა კი არა, ხშირად დადგომაც ჭირს, იჯარით არის გაცემული და მგზავრობის დიდი ნაწილი თვითონ მოიჯარეებს (და არა მარტო მათ!) რჩებათ. მათ კი ამ მიმართულებით კიდევ ერთი მატარებლის დანიშვნა ხელს არ აძლევთ — ეს გამოიწვევს მგზავრთა და, შესაბამისად, შემოსავლის შემცირებას. ჭიათურისა და საჩხერის მოსახლეობა კი ბედის ანაბარა არის მიტოვებული. ავტობუსები ახლა თუ თვეში რამდენჯერმე გაივლის, ზამთარში საერთოდ არ იქნება. სამგზავრო მატარებელს არ გვინიშნავენ, მაღაზიები და ბაზრები ცარიელია. ვერაფერს გაყიდი და იყიდი, ვიდრე წახვალ და მოხვალ. ეს კი სულაც არ ადარდებთ ადგილობრივი მმართველობის ხელისუფლებს. ზოგნი ხომ პერსონალური „ვოლგებით“ დაბრძანდებიან.

მაგრამ საკითხავი მაინც ის არის, ვისია რკინიგზა და მატარებელი? ამდენხანს ხომ ეს ყველაფერი ხალხის საკუთრება იყო? ვინ ერევა და ვინ იგდებს აბუჩად ხალხს?

ბ. ხვედელიძე,
ჭიათურა.

რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველო, რომლის სისტემაში გაერთიანებულია 625-ზე მეტი აფთიაქი და 4800-მდე ფარმაცევტული განათლების სპეციალისტი, თავისი არსებობის მანძილზე მუდამ იყო ნაწილობრივ სახელმწიფო დოტაციაზე, რაც გამოწვეული იყო მისი მუშაობის სტრუქტურითა და სპეციფიკით. 1991 წელს დოტაციის თანხამ 81 მილიონი მანეთი შეადგინა. სისტემა ახლა მძიმე ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია. დარიცხვების გამოყენების 26 პროცენტი ვერ ფარავს გასავლის ხარჯებს. თითოეული ფარმაცევტის საშუალო ხელფასი 778 მანეთია. უმუშევარ ფარმაცევტთა რაოდენობა 1500 აღწევს.

ბოლო ხანს სისტემის ხარჯები 50-ჯერ და მეტად გაიზარდა. იბადება კითხვა, სამეურნეო ანგარიშზე მყოფმა აფთიაქმა როგორ უნდა დაფაროს ეს გაუთვალისწინებელი ხარჯები 26 პროცენტი დანარიცხის ფარგლებში? ერთი სიტყვით, გაუჭირდა სააფთიაქო სისტემას. მიმდინარე ხარჯების და ფასების მკვეთრი ზრდისა და გადახდისუნარიანობის დაქვეითების გამო აფთიაქები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ბევრ გადაუდებელ, აუცილებელ მომსახურებაზე. ამით გაუარესდა ფარმსპეციალისტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველო ექვემდებარება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომელიც ფინანსების ნაკლებობას სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხიდან დოტაციის სახით შეუვსებდა ხოლმე სააფთიაქო სამმართველოს. ამჟამად რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტს არა აქვს დოტაციის თანხის გამოყოფის საშუალება. ფაქტობრივად ცენტრალურ სააფთიაქო ბაზას და მის ფილიალებს ფინანსური სახსრების უქონლობისა და წამლების მომწოდებელ ზოგიერთ საწარმოსთან დავალიანების გამო არა აქვს საშუალება საჭირო რაოდენობით შემოიტანოს რესპუბლიკაში მედიკამენტები. საწყობები დაცარიელებულია, აღარ შემოდის ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, რომლებიც წინასწარ გადარიცხვას და ზოგჯერ, ნაღდ ფულსაც კი ითხოვენ. უცხოური მედიკამენტების შესყიდვაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია ვალუტის უქონლობის გამო.

ნამდვილად რომ შეურყია ავტორიტეტი კანონიერ სააფთიაქო სისტემას კომერციული და კერძო აფთიაქების არნახული რაოდენობით გახსნამ. სააფთიაქო ფარდულები და კომერციული აფთიაქები გახსნეს ორგანიზაციებმა და პირებმა, რომლებსაც სააფთიაქო საქმესთან საერთო არა აქვთ რა. გამოუფენიათ წამლები, ფასებს კი ნუ იკითხავთ, როგორც უნდათ, ისეთს დაადებენ, მათთვის ფასწარმოქმნის მექანიზმი და კონტროლი არ არსებობს. კომერციულ კიოსკებში გამოფენილი აქვთ მრავალი ფსიქონეიროლეპტიკური და ძლიერი მოქმედების პრეპარატები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, აფთიაქებში ურეცეპტოდ არ იძლევიან. და ეს მაშინ, როცა ასეთი რიგის პრეპარატების დანიშვნა და დოზირება გამოცდილ ფსიქიატრებს და ნევროპათოლოგებსაც კი უჭირთ, გასარკვევია ერთი რამ: ვინ მისცათ ამდენი კერძო თუ კომერციული აფთიაქის გახსნის უფლება? რატომ არ ვითვალისწინებთ ამ საქმეში დარგის სპეციფიკურობას?

კიდევ ერთ პრობლემას უნდა შევეხოთ: ეს ფარმაცევტთა კადრების დასაქმებისა და რესპუბლიკაში მათი სიჭარბის საკითხია. რესპუბლიკის სააფთიაქო სამმართველოს, შრომითი მოწყობის მიზნით, სადღეისოდ აღრიცხვაზე ჰყავს 881 პროვიზორი (უმაღლესი განათლებით) და 675 ფარმაცევტი (საშ. სპეც. განათლებით), ეს დიდი არმია ფარმსპეციალისტებისა სამუშაოს ელოდება. ეს ის სპეციალისტები არიან, რომლებსაც გარდა აფთიაქისა, ვერსად გამოიყენებ სამუშაოდ. მალე ამ უმუშევარ ფარმსპეციალისტთა რიცხვი ერთიორად გაიზრდება, რადგან დაუთვლელია რესპუბლიკაში და კერძოდ თბილისში ფასიანი სამედიცინო სასწავლებლების რაოდენობა, ბევრმა სააფთიაქო საქმის სპეციალისტების გამოშვებასაც კი მოჰკიდა ხელი. ვის უნდა ამდენი სპეციალისტი?

მე არა ვარ გარკვეული უმაღლესი განათლების სისტემის სტრუქტურებში. ერთი რამ კი, ალბად, ცხადია, რომ იქნება მისი მაკოორდინებელი ორგანო, რომელმაც იცის რამდენი და რომელი დარგის სპეციალისტი გვჭირდება სადღეისოდ თუ სამომავლოდ. გასარკვევია, რით ხელმძღვანელობდნენ იმ ზემდგომი განათლების თუ უწყების პასუხისმგებელი პირები, როდესაც ნებას რთავდნენ ამა თუ იმ სახელმწიფო ინსტიტუტებთან გაეხსნათ ფასიანი უმაღლესი თუ საშუალო სპეციალური სასწავლებლები?

ამ ინსტიტუტების ხელმძღვანელებს, პროფესორებს და რექტორებს, ფასიანი სასწავლებლების გახსნისას, ვითომ ეროვნული გრძნობები ამოძრავებდათ?

ალბათ, საბოლოოდ შეფასდება მათი ნაღვაწი. ერთი რამ კი ფაქტია: ფასიანი სასწავლებლების უთავბოლო გახსნა ძირს გამოუთხრის რესპუბლიკის ისედაც დანგრეულ ეკონომიკას, რადგან ათასობით შრომისუნარიანი ახალგაზრდა მოსწყვიტეს რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებს.

ერთი სიტყვით, დიდი დაკვირვება და წინასწარმეტყველება არ სჭირდება ამ მდგომარეობას. ჩვენს სატკივარზე კი ვიტყვით, რომ აფთიაქები დაკარგავს ნორმალური ფუნქციონირების უნარს და რესპუბლიკის მოსახლეობა წამლების კაკალდამთვლელ მომსახურეთა ხელში აღმოჩნდება. ამას დროზე უნდა მიხედვა. სახელმწიფომ ხელში უნდა აიღოს კადრების მომზადების საქმე და ხელი არ უნდა შეუწყოს დიპლომიანთა უსაქმური და უვიცი არმიის გამრავლებას.

კოტე ცხადაძე,
ქ. თბილისის № 37 აფთიაქის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.

კარიკატურისტის კომენტარი.





მხატვარი ბესიკ ზუბაშვილი.

ბატონო რედაქტორო! შარშან ნოემბერში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა კ. რიჟამაძის, ნ. კეჩხუაშვილის, დ. ცოცხალაშვილის წერილი „განუკითხაობა“, რომელიც ეხება ა. ყაზბეგის გამზირზე მდებარე № 55 და № 55-ა ოთხსართულიან სახლებზე მიშენება-დაშენების საკითხს.

ავტორები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ „ჩვენს დაუკითხავად შეადგინეს ყოვლად გაუმართლებელი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სახლზე, ოთხივე მხარეს ლოჯების მიშენება-დაშენებას“. სინამდვილეში კი, პროექტი შეიქმნა, ჩვენსა და მშენებელ საპროექტო სახარჯთაღრიცხვო კოოპერატივ „კაპიტელს“ შორის სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე და მისი ავტორია ცნობილი არქიტექტორი მ. ჩიჩკელი. პროექტი ყველა ინსტანციაშია შემოწმებული, შეთანხმებული და ითვალისწინებს დაშენება-მიშენებას ორ მხარეს და არა ოთხივე მხარეს, როგორც ამის შესახებ ზემოთ აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ. საქმე იმაში გახლავთ, რომ ერთ-ერთ მომჩივანს ქუჩურ რიჟამაძეს ზემოთ აღნიშნულ სახლებს შორის უკანონოდ აქვს აშენებული მანქანის ფარეხი და იმის შიშით, რომ იგი მშენებლობამ არ შეიწიროს, საჩივრებით ავსებს სხვადასხვა ინსტანციას. თუმცა შედგენილი პროექტის მიხედვით მის გარაჟს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. საჩივრები კი არ წყდება.

წერილის ავტორები წერენ: „ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ლოჯიის მიშენების, თუ ეს ყველაფერი, სახლის მწვანე ზოლის მოსპობის გარეშე მოხდება“. მაგრამ ჩვენ ვიცით, რატომ აყენებენ ისინი საჩივრების ასეთ კორიანტელს, მიზანი ამ აურზაურისა ერთია, ისინი მოითხოვენ სხვებისაგან განსხვავებით შევუსრულოთ შემდეგი მოთხოვნები: კერძოდ, კ. რიჟამაძე, თანახმაა, თუ ყველა სხვა მცხოვრებისაგან განსხვავებით მიიღებს მნიშვნელოვან სარგებელს ამ მშენებლობისაგან. ნ. კეჩხუაშვილი და დ. ცოცხალაშვილი მოითხოვენ ტექნიკურ სართულში, დამატებით 3-4-ოთახიანი ბინების აშენებას მშენებელთა ხარჯზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თითოეულ მათგანს ერთ სულზე თითო ოთახი აქვს. ნ. კეჩხუაშვილი ახალ ბინას მოითხოვს „ლაბორატორიის“ გასახსნელად. ასე რომ, მათი როგორც ბუნების ქომაგთა დიდი სიყვარული და ზრუნვა ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე მხოლოდ ნიღაბია. ვინ იცის, თითოეულმა მათგანმა რამდენჯერ მოაწერეს ხელი აღნიშნულ სახლებში მცხოვრებლების საერთო მოთხოვნას ჩვენი საბინაო პირობების გაუმჯობესებაზე. ასე იყო 1991 და 1992 წლებშიც. ამის მიუხედავად, როდესაც აღეძრათ მადა მცხოვრებლების და მშენებლების ხარჯზე მიიღონ გარკვეული სარგებლობა, გადაწყვიტეს შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი და მიმართეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“. წერილის ავტორები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ეზოს ბავშვებიც კი არ ესალმებიან მათ. ჩვენ არ შეგვიძლია ამ ფაქტის ხელაღებით მტკიცება ან უარყოფა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ „ბავშვებმაც კი იციან ვინ ვინ არის“.

წერილის ავტორები წუხან, ინტრიგანებად მოგვნათლეს და ფიზიკური ანგარიშსწორებით გვემუქრებიანო. ჯერჯერობით მსგავსი არაფერი მომხდარა, არ მომხდარა ისიც, რომ ამ მშენებლობას შეეწირა ბავშვების სათამაშო მოედანიო. ამჟამად ჩვენი ეზოს სამ სახლზე მთავრდება დაშენება-მიშენების სამუშაოები და არც ერთის მშენებლობა სპორტულ მოედანს არ ეხება. არც ჩვენი სახლების პროექტები ითვალისწინებს სპორტული მოედნის მოშლას. ასევე, ბევრ სხვა სიყალბესაც წერენ, მაგრამ ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია მათზე პასუხის გაცემა.

ბატონო რედაქტორო! ჩვენ ე. წ. ლოჯიომანიის სენი არ შეგვყრია, მოგეხსენებათ, ა. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) ქუჩის ბოლოს მდებარე დაბალსართულიან სახლებზე მიშენება-დაშენების განხორციელება ქალაქის არქიტექტურის სამმართველოს წინადადებით დაიწყო. ასე გაგვიჩნდა შესაძლებლობა გაგვეუმჯობესებინა ჩვენი საბინაო პირობები. ჩვენს სახლში ცხოვრობს ოჯახები, რომელთაც არა აქვთ და ახლო მომავალშიც არ ექნებათ იმის საშუალება, რომ საკუთარი სახსრებით მინიმალური ცხოვრების პირობები შეიქმნან. მათი ერთადერთი იმედი მხოლოდ, ბინებზე ორმხრივი მიშენებაა. აღნიშნულ სახლზე ლოჯიების მიშენება-დაშენებით ბინებს ღებულობს აღრიცხვაზე მყოფი რვა ოჯახი. საოჯახო პირობებს იუმჯობესებს რვა ერთოთახიან ბინებში მცხოვრები ოჯახიც და ბევრი სხვაც. სწორედ ამიტომაც იყო რომ ქალაქის მერიამ, არქიტექტურის სამმართველომ, რაიონის გამგეობამ გაითვალისწინა ჩვენი მდგომარეობა და მოგვცა სათანადო ნებართვა, დაგვიმტკიცა პროექტი და ახლა, როცა უკვე მოიძებნა სამშენებლო ორგანიზაციაც, ზოგიერთი მობინადრე ცდილობს მოითბოს ხელი სხვათა ხარჯზე, მართალია, აღნიშნული პროექტის განხორციელებას შეეწირა ჩვენი ხელითვე ამ ეზოში დარგული რამდენიმე ხე, მაგრამ ჩვენ ახლავე ვიღებთ ვალდებულებას, რომ მშენებლობის დამთავრების შემდეგ ეს დანაკლისიც ავანაზღაუროთ და მიმზიდველობა შევმატოთ ჩვენს ეზო-კარს.

როგორც მოგახსენეთ, უკვე დასასრულს უახლოვდება ჩვენს დასახლებაში მდებარე სამი კორპუსის დაშენება-მიშენების სამუშაოები. დარჩენილ ორ კორპუსზე ასეთივე სამუშაოების შესრულება თითქმის მთლიანად შეცვლის ყაზბეგის ქუჩის დასახლებაში განლაგებული უბნის იერსახეს, სილამაზესა და ხიბლს შემატებს ქალაქს. სწორედ ამით არის განპირობებული ის, რომ ამ სამუშაოების მიმდინარეობას მხარს უჭერენ ქალაქის მერიისა და ვაკის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელები.

რაც შეეხება საჩივრებს, მათ მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ: რაც შეიძლება მეტი გამოსძალონ მეზობლებს და მშენებლებს თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ეს არის და ეს.

მალხაზ ცისკარაძე, ლუბა ლაპიაშვილი, ლია ნასარიძე, ლევან მუჯირი, სულ 88 კაცი.

უმაღლესი სკოლის დღევანდელი მდგომარეობა, მართლაც რომ, დამაფიქრებელია, ფასიანი სასწავლებლების მოზღვავებას რაღაც ქმედითი ღონისძიებები უნდა დავუპირისპიროთ, მიზანმიმართული პოლიტიკა გავატაროთ, თორემ სავალალო შედეგებს სულ მალე მივიღებთ. ასეთია „საქართველოს რესპუბლიკაში“ შარშან 8 დეკემბერს გამოქვეყნებული ბ-ნ ელიზბარ ცისკარიშვილის წერილის დედაარსი.

სამწუხაროდ, ბატონმა ელიზბარმა ამ სტატიაში ჩვენი ინსტიტუტიც მოიხსენია (თუმცა ჩვენი ინსტიტუტი ფასიანი სასწავლებელი არ გახლავთ) და ამ 21 სტრიქონში რამდენიმე შეცდომა დაუშვა.

უპირველეს ყოვლისა: რატომაა გაუგებარი თბილისის სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტის დაარსება? განა ახსნა სჭირდება იმ ფაქტს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას შესაბამისი კადრები სჭირდება? გარდა ამისა, განათლების სამინისტროს ეს წამოწყება, რომელსაც მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, მიზნად ისახავდა სწორედ ფასიან სასწავლებლებთან კონკურენციას და იმ აბიტურიენტებისათვის საუკეთესო პირობების შექმნას, ვისაც არა აქვს შესაძლებლობა ისწავლოს ფასიან სასწავლებლებში.

ბატონი ელიზბარი ასევე გვისაყვედურებს: ინსტიტუტი ლოტკინის მთაზე გაუხსნიათო. ბატონო ელიზბარ, განა ლოტკინის მთის დასახლება თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი არაა? განა აგრარული უნივერსიტეტი და ზოოვეტერინარული ინსტიტუტი გაცილებით უფრო შორს არ მდებარეობენ?

ავტორს შეცდომაში შეჰყავს მკითხველები, როცა წერს, თითქოს მისაღები კონტინგენტი აქ 110 კაცია. სინამდვილეში მისაღები კონტინგენტი თბილისის სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტში 480 კაცია.

რაც შეეხება ჩვენს დაპირებებს, ბატონ ელიზბარს პირადად გვინდა მოვახსენოთ, რომ ჩვენს ინსტიტუტს დამყარებული აქვს საქმიანი ურთიერთობები იმენშტატისა (გფრ) და ატლანტის (აშშ) შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებთან.

რაც შეეხება იუმორს, გვინდა იცოდეთ, რომ სამღერეთის ქუჩა თეთრიწყაროს რაიონის უნიკალური სამღერეთის ეკლესიის გამო დაერქვა ამ ქუჩას და არა სიმღერის გამო. ჩვენი სტუდენტები სწორედ იმ ეკლესიის აღდგენაზე მუშაობდნენ და პიონერის ქუჩას (ასე ერქვა ადრე სამღერეთის ქუჩას) სახელი შეუცვალეს.

გაუგებარია, რითაა ცუდი, რომ ინსტიტუტს რამდენიმე ავტობუსი ჰყავს, რომლებიც პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ემსახურება? გამწვავებული ენერგეტიკული კრიზისის პირობებში სწორედ ეს ღონისძიება გვაძლევს საშუალებას შევინარჩუნოთ ნორმალური სასწავლო პროცესი.

პატივცემულო რედაქციავ! უკეთესი იქნებოდა, სტატიის გამოქვეყნებამდე ავტორი გასცნობოდა თბილისის სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტში არსებულ ვითარებას.

თბილისის სახელმწიფო კომერციის ინსტიტუტის კოლექტივის სახელით — ინსტიტუტის რექტორატი.

სარედაქციო ფოსტიდან

ამ ტრიალ ქვეყანაზე

„კონტაქტი“ გვატყობინებს

რადიო „ახალი ტალღა“ იტყობინება, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა მთავრობის თავმჯდომარეს ვიქტორ ჩერნომირდინს. შეხვედრის დროს განიხილეს რუსეთის ფედერაციის მთავრობის საქმიანობის პირველი დღეების შედეგები ახალ წელს და პერსპექტიული გეგმები, რომელთაც განახორციელებს მთავრობა მომავალში. შემდეგ ბორის ელცინი შეხვდა და ესაუბრა ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე რუცკოის, რომლის დროსაც იმსჯელეს სამართალდარღვევების, მექრთამეობის, კორუფციის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე.

●

მოსკოვში მუშაობას განაახლა რუსეთის პარლამენტის სესიამ. „იტარ-ტასის“ კორესპონდენტის ცნობით, დღის წესრიგშია პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული პროექტის განხილვა, რომელიც მან პარლამენტს გადასცა გასული წლის დეკემბერში. მაშინ ამ პროექტმა ცხარე კამათი გამოიწვია პარლამენტარებსა და სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებს შორის.

მეორე, უმთავრესი საკითხია რუსეთ-ამერიკის შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ. როგორც ინფორმირებული წყაროები აღნიშნავენ, მოელიან, რომ ეს შეთანხმება არ იქნება რატიფიცირებული, რადგან პარლამენტართა აზრით, მასზე ხელმოწერა მოხდა შეთანხმების პარლამენტში განხილვამდე.

●

15 იანვარს მოსკოვში უმაღლეს დონეზე გაიმართება რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტების ბ. ელცინისა და ლ. კრავჩუკის შეხვედრა. „ინტერფაქსის“ კორესპონდენტის ცნობით, შეხვედრის დროს მთავარი ყურადღება გამახვილდება ორი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ურთიერთობის საკითხებზე. მოსკოვში უკრაინის საელჩოს მთავარმა მრჩეველმა დოლგანოვმა კორესპონდენტს უთხრა, რომ შეხვედრაზე იმსჯელებენ აგრეთვე ურთიერთანგარიშსწორებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო ვალების შესახებ.

●

ჩრდილოეთ-ოსეთ-ინგუშეთის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა გენერალმა კოჩენკომ მოითხოვა, რომ ამ რეგიონში კიდევ ორი თვით გაგრძელდეს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. იგი სიტყვით გამოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის სესიაზე და აღნიშნა, რომ კონფლიქტის ზონაში ამ ღონისძიების გატარება აუცილებელია, რადგან ვლადიკავკაზის გარეუბნებსა და ინგუშეთის ცენტრ ნაზრანში იქმნება აფეთქებად საშიში მდგომარეობა. ეს სიტუაცია უნდა განმუხტოს, — თქვა მან, — მხოლოდ და მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმმა და რუსეთის შინაგანმა ჯარებმა.

●

როგორც რუსეთის რადიო იტყობინება, ბაქოდან მიღებული ცნობით აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების საჰაერო დაცვის ნაწილებმა მთიანი ყარაბაღის ჩრდილოეთ ნაწილში ჩამოაგდეს სომხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ვერტმფრენი. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ „აზერტაჯის“ კორესპონდენტს აცნობა, რომ საბრძოლო-საჰაერო მანქანის ეკიპაჟი დაიღუპა. ეს უკვე მეთერთმეტე ვერტმფრენია, რომელიც ამ ბოლო ორი თვის მანძილზე ჩამოაგდეს აზერბაიჯანის ძალებმა. თავის მხრივ, სააგენტო „არმენპრესმა“ გაავრცელა სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობა იმის თაობაზე, რომ სომხეთის სამხედრო უწყება უარყოფს აზერბაიჯანის ცნობას სომხეთის სამხედრო ვერტმფრენის ჩამოგდების შესახებ, რადგან მისი ცნობით იმ დღეს, იმ რეგიონში სომხეთის არცერთ ვერტმფრენს არ მოუხდენია გაფრენა.

●

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ მოსკოვის მთავრობა უახლოეს პერიოდში არ აპირებს ბენზინსა და სხვადასხვა პროდუქტებზე ფასების მომატებას. როგორც მერიაში განაცხადეს, ეს ღონისძიება ექვემდებარება რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და სხვა ცენტრალურ ორგანოებს. მერიაში აღნიშნეს, აგრეთვე, რომ თუ ხალხი ნახავს ერთ დღეს, რომ პროდუქტებზე მომატებულია ფასები, ამას მერიას ნუ დააბრალებენ, რადგან ფასების მომატება მის კომპეტენციაში არ შედის.

●

„ინტერფაქსის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ თურქმენეთში ამიერიდან თითოეულ მუშაკს ქორწინებისათვის ან ახლობელი ადამიანის დაკრძალვისათვის მიეცემა დამატებითი ათდღიანი შვებულება. ბრძანებულება ძალაში შევიდა 12 იანვრიდან. მას ხელი მოაწერა თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურად ნიაზოვმა. ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ ეს იქნება დამატებითი შვებულება და არ ჩაითვლება მუშაკისათვის წელიწადში ერთხელ კუთვნილი შვებულების ანგარიშში.

ანგოლიდან გაიქცა

ოპოზიციური დაჯგუფების უნიტას ლიდერი ჟონას სავიმბი ანგოლიდან კინშასაში გაიქცა. იქ იგი აპირებს შეხვდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ზაირისა და კოტდივუარის წარმომადგენლებს. ვარაუდობენ, რომ შეხვედრაზე ზაირის დედაქალაქში განიხილავენ ანგოლაში შეიარაღებული შეჭრის გეგმებს.

მხარს უჭერენ კონფედერაციაში შესვლას

სომხეთის საზოგადოებრიობა მხარს უჭერს რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მომართვას ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ახალ კონფედერაციაში გაერთიანების შესახებ. რესპუბლიკის სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლების განცხადებაში ნათქვამია: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საუკუნოვანი კავშირების დანგრევას, რომელმაც საყოველთაო კრიზისი გამოიწვია, შეიძლება წინააღვუდგეთ მხოლოდ ყოფილი კავშირის ხალხების ერთობლივი ძალისხმევით. განცხადება შეიცავს მოწოდებას სომხეთის უზენაესი საბჭოსადმი განიხილოს რუსეთის სახალხო დეპუტატთა მიმართვა. ამ განცხადებას შეუერთდნენ სომხეთის მეცნიერებათა აკადემია, სომხეთის მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა, კინემატოგრაფისტთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირები.

ორი დაპირისპირებული პროცესი

უკრაინა-რუსეთის დამოკიდებულებაში ორი დაპირისპირებული პროცესი მიმდინარეობს. ერთი მხრივ, უკრაინის მხრიდან ადგილი აქვს მოქმედებას, რომელიც მათ შორის ურთიერთობას ძაბავს. კერძოდ, შავი ზღვის ფლოტისა და ყირიმის საკითხში. მეორე მხრივ, თანამშრომლობის რიგი მაგალითი აღინიშნება. კერძოდ, კიევში ხელი მოაწერეს შეთანხმებას რუსეთისა და უკრაინის თავდაცვითი საწარმოების თანამშრომლობის შესახებ. იგი ითვალისწინებს ორი ქვეყნის სამხედრო კომპლექსების თანამოქმედებას თვითმფრინავმშენებლობის, რაკეტული კოსმოსური ტექნიკის, რადიოელექტრონული აპარატურის წარმოების სფეროში. პარაფირებულია, კერძოდ, შეთანხმება ორი ტიპის სამხედრო ვერტმფრენების და ახალი სამგზავრო თვითმფრინავის ტუ-334-ის ერთობლივი მშენებლობის შესახებ.

აუცილებელია ყველა უწყებისთვის

ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ბრძანებულებით შეიქმნა „ეკონომიკური გარდაქმნების ეროვნული საბჭო“. მისი ამოცანაა უზრუნველყოს ანტიკრიზისული გადაუდებელი ღონისძიებების პროგრამის რეალიზაცია და სოციალ-ეკონომიკური რეფორმების გაღრმავება. საბჭოს გადაწყვეტილებები აუცილებელი იქნება ყველა უწყებისათვის.

მოუწოდებენ ჩაატარონ ვადამდელი არჩევნები

მოლდოვეთის გავლენიანმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ „ერთიანობამ“ მოუწოდა ჩაატარონ რესპუბლიკაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ვინაიდან პარლამენტის ახლანდელ შემადგენლობას, ნათქვამია „ერთიანობის“ განცხადებაში, არ შესწევს უნარი გადაჭრას რესპუბლიკის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები, და რომ მოლდავეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კრიზისს განიცდის. პარლამენტის უმრავლესობა პარალიზებულია სახალხო ფრონტისა და მისი მომხრეების მოქმედებით პრეზიდიუმში, რომელიც უპირისპირდება პარლამენტის უმრავლესობას. მოლდოვეთის სახალხო ფრონტი მოუწოდებს ამ რესპუბლიკას რუმინეთთან გაერთიანებისაკენ. მაშინ, როცა მოსახლეობის უმრავლესობა მოლდოვეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაკარგვის წინააღმდეგია.

თითო აბზაცით

⊙ **გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 47-ე სესია მუშაობას განაახლებს 19 იანვარს. გენერალური ასამბლეის 47-ე სესიის დღის წესრიგის პირველი პუნქტია მისი მუშაობის განახლების შემდეგ გაეროს წევრებად ჩეხეთისა და სლოვაკეთის მიღება.

⊙ **ერიხ ჰონეკერმა** დატოვა გერმანია და მაინის ფრანკფურტიდან ბრაზილიის ავიაკომპანია „ვარიგის“ თვითმფრინავით სან-პაულოში გაფრინდა. იქიდან იგი ჩილეში ჩავა, სადაც ამჟამად ცხოვრობენ მისი მეუღლე და ქალიშვილი. ამით დამთავრდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელის 169-დღიანი პატიმრობა ბერლინის მოაბიტის საგამოძიებო საპატიმროში, სადაც იგი მოათავსეს გასული წლის ივლისში მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე.

ეს ჩვენი საქართველოა!

საახალწლო ოცნება. სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“).

კარდიოქირურგია საქართველოში

დაიდო ხელშეკრულება თბილისის ქირურგიის ინსტიტუტისა და პოლონეთის ქალაქ ზაბრჟეს ცნობილ კარდიოქირურგიულ ცენტრს შორის, რომელიც ითვალისწინებს სამედიცინო გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას.

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ქირურგიის ინსტიტუტის კარდიოქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ვიქტორ ზეტმანსკის და სთხოვა, ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— ბატონო ვიქტორ, კიდევ რომელ უცხოურ კლინიკებთან გაქვთ ურთიერთობა?

— დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტთან. გვაქვს კონტაქტები ვილნიუსის გულ-სისხლძარღვთა კლინიკასთან. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ორიოდე წლის წინ ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის აქტიური დახმარებით დაწყებული ურთიერთობა აშშ-ს ნიუ-ჯერსის შტატის დებორას გულისა და ფილტვის ქირურგიის ცენტრთან. ეს ცენტრი ყოველნაირ შესაძლო დახმარებას გვიწევს როგორც მედიკამენტებით, ხელსაწყოებით და აპარატურით, ისე თანამშრომლების მომზადებით. ჩვენი რამდენიმე სპეციალისტი უკვე იმყოფება სტაჟირებაზე ამ სამედიცინო დაწესებულებაში.

— თქვენი განყოფილება ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძლიერი ქვეგანაყოფია ქირურგიის ინსტიტუტში. წარმატებით აკეთებთ ურთულეს ოპერაციებს. მაგრამ ამის მიუხედავად გულით დაავადებული ბევრი ავადმყოფი ჩვენი ქვეყნის გარეთ მიდის სამკურნალოდ. რატომ ხდება ასე?

— თუ ნებას მომცემთ, ცოტა ვრცლად გიპასუხებთ. იმიტომ, რომ რამდენიმე საკითხია გასაშუქებელი. პირველი — მატერიალურ-ტექნიკური. ძალიან გაძვირდა აუცილებელი მედიკამენტები, შესახვევი მასალა და მაინც ჭირს მათი შოვნა. ამის გამო იქსაქსება განყოფილების ძალები, რადგან ხშირად იძულებული ვართ თვითონ ვიშოვნოთ საჭირო პრეპარატები. დაფინანსების არსებული წყაროებიც არ არის საკმარისი ჩვენი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

მეორე. რომელი პათოლოგიით მიდიან ავადმყოფები რესპუბლიკის გარეთ? როდესაც რუსეთის ან საზღვარგარეთის რომელიმე კლინიკაში ავადმყოფი ბოტალის ღია სადინარით, მიტრალური სტენოზით ან რომელიმე პალიატიური ოპერაციის ჩასატარებლად მიდის, ძალაუნებურად გახსენდება ანდაზა შინაური მღვდლის შესახებ, შენდობა რომ არა აქვს. თუმცა ასეთ დროს არ შეიძლება გვერდი აუარო იმას, რომ სათანადო ინფორმაციის უქონლობის გამო ზოგიერთი კოლეგა ავადმყოფს ჩვენს მიერ უკვე კარგად ათვისებული პათოლოგიების სამკურნალოდ სხვაგან წასვლას ურჩევს. რაც შეეხება გულის იშემიურ დაავადებას, აქ სხვაგვარად არის საქმე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ოპერაცია, რომლითაც საზღვარგარეთის მოწინავე კლინიკებში კარდიოქირურგები იწყებენ თავის პრაქტიკას გაჩერებულ გულზე, ჩვენში ჯერ არ არის დანერგილი. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ვაკეთებთ უფრო რთულ ოპერაციებს, მაგალითად, ხელოვნური სარქველის იმპლანტაციას ან ძგიდეების დეფექტების პლასტიკას. სხვათა შორის, თვითონ რუსეთის კლინიკებშიც აორტა — კორონალური შუნტირება (აკშ) მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს დაინერგა ფართო პრაქტიკაში. ესეც არ იყოს, ინსტიტუტის თემატიკაში აქცენტი გაკეთებული იყო თანდაყოლილი და შეძენილი მანკების მკურნალობაზე. ამჟამად განყოფილებაში გვყავს სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები, რომელთაც ხელეწიფებათ აკშ-ს შესრულება. პრობლემა ის გახლავთ, რომ აღნიშნული ოპერაციის ჩატარება მაღალხარისხოვანი კორონაროგრაფიის გარეშე შეუძლებელია, სათანადო აპარატურა კი, რომელიც 1,5 მილიონი დოლარი ღირს, არა გვაქვს. ეს არის ჩვენი შეფერხების ერთადერთი მიზეზი.

რეალობა და პერსპექტივა

— ჩანს, კარდიოქირურგია საკმაოდ ძვირადღირებული დარგია, არა?

— გეთანხმებით, კარდიოქირურგია მთელ მსოფლიოში ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძვირ სამსახურად. ჩვენ პრობლემას გვირთულებს სავალუტო სახსრების უქონლობა. როგორც გითხარით, მასტოანგიოგრაფიის აპარატი 1,5 მილიონი დოლარი ღირს, სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატი — 60 ათასი, სასუნთქი აპარატი — 35 ათასი დოლარი, საკერავი მასალა — ერთი ატრავმატული ძაფის კომპლექტი — 2-3 დოლარი ღირს. დაანგარიშებულია, რომ განყოფილების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა საბაზო ღირებულების (დაახლოებით 2 მილიონი დოლარი), არანაკლებ 10 პროცენტი ყოველწლიურად. მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩიტი ბდღვნად ღირს — ოპერაციის ხასიათის შესაბამისად უცხოეთის სხვადასხვა კლინიკაში კარდიოქირურგიული ოპერაცია 25 ათასიდან 150 ათას დოლარამდე ღირს. რუსეთის კლინიკებში ოპერაციის მინიმალური ღირებულება 70 ათასი მანეთია, ისიც სახელმწიფო შეკვეთის ფარგლებში. სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ავადმყოფები ბევრად მეტს იხდიან. ასე რომ, ადვილი საანგარიშოა, რამდენი თანხის დაზოგვა შეგვიძლია ქვეყნისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ მგზავრობის, უცხოეთში ცხოვრების და სხვა პრობლემებზე.

— და თქვენი ხელფასები?

— ნუ მკითხავთ. დებორა-ცენტრის საოპერაციო და საათში 60 დოლარს იღებს, ექთანი — 40 დოლარს. ექიმებზე არაფერს ვიტყვი. რუსეთში ქირურგის საშუალო ხელფასი ათი ათას მანეთამდეა თვეში. ჩვენთან კი განყოფილების ხელმძღვანელს დაახლოებით 3 ათასი მანეთი აქვს, უმცროს მეცნიერ თანამშრომელს კი ათას ხუთასი მანეთი თვეში.

— არის თუ არა პერსპექტივაში გულის გადანერგვა?

— დანამდვილებით შემიძლია ვთქვა მხოლოდ ერთი რამ. ამჟამად ჩვენც და ინსტიტუტის ხელმძღვანელობაც დაინტერესებული ვართ ტრანსპლანტაციის პროგრამის განვითარებით. და არა მარტო გულის, არამედ სხვა ორგანოების, მაგალითად, პანკრეასისა. განყოფილება ეყრდნობა როგორც მსოფლიო მედიცინის მიერ დაგროვილ ცოდნას და გამოცდილებას, ისე საკუთარ მარაგსაც. თვითონ ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორს გიორგი გოკიელს და მთავარ მეცნიერ თანამშრომელს ო. გიორგაძეს სადოქტორო დისერტაციები გულის გადანერგვის პრობლემაზე აქვთ დაცული. გვაქვს გარკვეული გამოცდილება ექსპერიმენტშიც. პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭიროა მორალურ-ეთიკური და იურიდიული საკითხების გადაწყვეტა. იურიდიულად წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება დონორის ორგანოს აღებას მისი გადანერგვის მიზნით. ამისთვის საჭიროა პარლამენტის მიერ მიღებულ იქნას სპეციალური კანონი, რომლითაც განსაზღვრული იქნება შესაბამისი კრიტერიუმები. ამჟამად ჩვენ ვამუშავებთ სპეციალურ პროგრამას, რომელიც წარდგენილი იქნება მთავრობის წინაშე და საფუძვლად დაედება შესაბამის კანონმდებლობას. რაც შეეხება მორალურ-ეთიკური პრობლემის გადაწყვეტას, აქ საჭიროა მთელი სამედიცინო საზოგადოების ძალისხმევა ტრანსპლანტაციის, ამ უფაქიზესი ასპექტების სათანადო ახსნა-განმარტებისათვის, რათა საზოგადოებრივი ცნობიერება მზად შეხვდეს ნებისმიერი ორგანოს გადანერგვას.

გარკვეულ იმედებს გვისახავს ევროპის გაერთიანებული პროგრამის, ე. წ. ევროტრანსპლანტის შექმნა, რომელთან თანამშრომლობაც დიდ იმედს გვისახავს, რომ საქართველოში გულის გადანერგვის პრობლემა დადებითად გადაიჭრება.

ზია კორძაძე.

„თხის რქა“ გვპირდება

ქართული ზღაპრები

გამოვიდა და იყიდება (მეტროს სადგურები — „წერეთელი“, „დიდუბე“) მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების დიდი სერიის პირველი ტომი „ქართული ზღაპრები“. ამ სერიით („ზღაპარ იყო ზღაპარ იყო“...) გამოვა ასი ტომი (და არა ათი, როგორც შეცდომით გამოცხადდა ამას წინათ). ეს იქნება უფრო სრული კრებული, ვიდრე ოდესმე ჩვენში გამოსულა. გათვალისწინებული და ნაწილობრივ დაბეჭდილია ან მზადდება ქართული ზღაპრები, ლეგენდები, შელოცვები, ანდაზები და გამოცანები — 12 წიგნად. შემდეგ: ანდერსენის, ძმები გრიმების, ეგზიუპერის, ჰაუფის, ჰოფმანის, შარლ პეროს, ჯანი როდარის, შვარცის, ოსკარ უაილდის, დისნეის, პუშკინის, სალტიკოვ-შჩედრინის, ბერძნული, სკანდინავიური, ინდური, ესპანური, შვედური ზღაპრები; „ათას ერთი ღამის“ რჩეულები, ოკეანის ქვეყნების, აფრიკული, ინგლისური, იტალიური, ამერიკული, აზიის ხალხთა ზღაპრები, გურდუნის ეპოსი და სხვ. ყოველი წიგნი ლამაზადაა გაფორმებული, აწყობილია „გოგებაშვილის“ მშვენიერი შრიფტით, დასურათებულია.

გამოცემები აღჭურვილია მცირე ნარკვევებით და განმარტებებით. სერიას მეცნიერულ-ფილოლოგიური ღირებულებაც აქვს, თარგმანები დედნიდანაა შესრულებული (რამდენადაც შესაძლებელია), ეყრდნობა პირველწყაროებს, შერჩეულია გემოვნებით. მაგალითად „ქართული ზღაპრები“ აღებულია „ივერიიდან“, „ძველი საქართველოდან“, გამოყენებულია მ. ჯანაშვილის, თ. რაზიკაშვილის, ე. თაყაიშვილის, ბ. ნიჟარაძის და სხვათა მასალები. შემდგენელი ა. ლომთაძე, რედაქტორი მ. შარაშენიძე, მხატვარი გ. ჯავრიშვილი. ტირაჟია 80000.

„თხის რქის“ მესვეური — ბ-ნი ბონდო გაგნიძე, ჟურნალისტი და უაღრესად ენერგიული, განათლებული პიროვნება, სასარგებლო მოღვაწეობას ეწევა. მან დააარსა ფირმა, შეკრა საქმიანი კოლექტივი, დაუკავშირდა ბ-ნ გურამ თავდიშვილის კომპიუტერების წრეს (გამოთვლითი ცენტრი) და მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მოკრძალებული შრომით ამდიდრებს ქართულ საწიგნობრეს არა რაიმე სარფიანი გამოცემებით — დეტექტივებით, ჰოროსკოპებით, სექსუალური სერიებით, არამედ სერიოზული ეროვნული ლიტერატურით. უკვე გამოსცა მოზრდილი წიგნი „მავლეგო“, რომელშიაც თავმოყრილია უამრავი ფოტო, ნარკვევი, ლექსი თუ მინიატურა მერაბ კოსტავაზე; გამოვიდა მრავალფეროვანი სამეცნიერო ხასიათის წიგნი „ეძიე ვარსკვლავი შენი“, ბიბლიის ახალი გამოცემა, ანდერსენის ზღაპრების სრული კრებული; მზადდება ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ამბავი, დიდი ლექსიკონები...

„თხის რქა“ კვლავაც ბევრ საინტერესო გამოცემას გვპირდება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

თეატრი

ზარბაზნები ქუხან, მაგრამ მუზები არ დუმან!

დონარა კანდელაკი

მადლობა ღმერთს! თბილისის თეატრებმა სტუმართმოყვარულად გაუღეს კარი სპექტაკლებს მონატრებულ მაყურებლებს.

ამ რთულ, ბობოქარ დროში, გაჭირვებამ და ყოველდღიურმა პრობლემებმა უნებლიედ დაგვავიწყა სულიერი ღირებულებანი. არადა, ოდითგან ლიტერატურა და ხელოვნება იყო იმ შვების წყარო, ძნელბედობაში რომ აძლებინებდა ადამიანს.

ამ ცოტა ხნის წინათ, როცა ერთ-ერთი საუბრისას დავიჩივლეთ, ახლა ხალხს „კაზმულსიტყვაობისთვის“ არა სცხელათ, შესანიშნავმა პოეტმა ბულატ ოკუჯავამ თქვა: — მე სულ არ მაწუხებს, რომ დღეს ხალხი არ დადის პოეზიის საღამოებზე. ახლა განსაკუთრებული დროა — მსხვრევის, პუბლიცისტიკის, ფილოსოფიის, გამოცანების გამოცნობის დრო. ხვალ კი ყველაფერი დალაგდება. საზოგადოება დამშვიდდება, კვლავ გაუჩნდება პოეზიის და პროზის ინტერესი. ისევ დაიწყებს თეატრში სიარულს... აი ნახავთ, ერთ-ორ წელიწადში რა აყვავების ხანა დაუდგება ლიტერატურას, თეატრსო.

ღმერთმა ქნას, პოეტის სიტყვები გამართლდეს, მით უმეტეს, რომ ყინული თითქოს უკვე დაიძრა.

... რაღაც განსაკუთრებით საზეიმო განწყობილება სუფევდა ა. გრიბოედოვის თეატრში, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ ორი პრემიერით — ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღით“ და ა. კუპრინის „ორმოთი“ გახსნა თავისი საიუბილეო, 150-ე სეზონი. მაყურებლები მოვიდნენ არა მარტო იმიტომ, რომ დამტკბარიყვნენ ჭეშმარიტი ხელოვნებით, არამედ იმიტომაც, რომ მოეხადათ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, რადგან იცოდნენ, რომ ამ საქველმოქმედო სპექტაკლის მთელი შემოსავალი თავდაცვის ფონდში გადაირიცხებოდა.

ჩვენ, სამწუხაროდ, უკვე გადავეჩვიეთ მაყურებლით გაჭედილ თეატრალურ დარბაზებს. ხალხმრავალ ფოიეებს, აქ კი ვხარობდით, როცა ვხედავდით, რა ინტერესითა და გულისყურით უსმენდნენ შეკრებილნი კონსერვატორიის კამერული კვარტეტის საუცხოო შესრულებას, ათვალიერებდნენ თანამედროვე თბილისელ მხატვართა სურათების გამოფენა-გაყიდვას, ფურცლავდნენ და ყიდულობდნენ წიგნებს (ყოველივე ეს გემოვნებით იყო განლაგებული თეატრის ქვედა და ზედა ფოიეებში).

მაგრამ, ვინ იცის, შეძლებდა თეატრი გაეხარებინა თავისი მაყურებლები, მოეწყო მათთვის ეს დღესასწაული, რომ არა სპექტაკლ „ორმოს“ სპონსორი — სააქციო საზოგადოება „ბენო“, მთელი ღონისძიების სპონსორი — შემოქმედებითი გაერთიანება „ჯორ-ჯო“, თბილისის მერიისა და პირადად ბატონ ნუგზარ რობიტაშვილის დიდი აქტიური მხარდაჭერა.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ აქ დავიწყებული სიტყვა „მეცენატი“. მადლობა ღმერთს, ჩვენ თითქოს თანდათან გვიბრუნდება ისტორიული მეხსიერება. 75 წლის წინ ხომ ჩვენ ქარაფშუტულად და ხელაღებით უკუვაგდეთ ყოველივე, რაც ძველ სამყაროსთან იყო დაკავშირებული, და, მათ შორის, უდარდელად მოვისროლეთ სანაგვეზე „ძველი კულტურა“. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მოჰყვა ყოველივე ამას. ძალზე სასიხარულოა, რომ სიტყვა „მეცენატობა“ თანდათან ჰკარგავს თავის „აბსტრაქტულობას“ და სულ უფრო მეტ რეალობასა და კონკრეტულობას იძენს. ამაში შეეძლო პირადად დარწმუნებულიყო ყველა, ვინც 20 დეკემბერს მივიდა გრიბოედოვის თეატრში სპექტაკლ „ორმოზე“.

სხვათა შორის, ეს არ იყო პირველი ასეთი ღონისძიება, რომელსაც თეატრი სპონსორებთან თანამეგობრობით აწყობს. მარტში თეატრმა რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფონდში სახსრების გადარიცხვის მიზნით მოაწყო შეხვედრა-კონცერტი „თბილისის სიყვარულით“, რომელშიც მონაწილეობდნენ ისეთი პოპულარული მსახიობები, როგორიც არიან ნატალია ვარლეი, ალექსანდრე აბდულოვი, მუსიკოსი, კომპოზიტორი და მომღერალი ანდრია მაკარევიჩი, ჟურნალისტი ალექსანდრე ლუბიმოვი. 11 მაისს პეტერბურგის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და პრესტიჟულ დარბაზში წარმატებით გაიმართა კონცერტი, რომელშიც საქართველოსა და სანკტ-პეტერბურგელი 500 წამყვანი მსახიობი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ზურაბ სოტკილავა, ირინე ბოგაჩოვა, ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, ირინე პონაროვსკაია, სანკტ-პეტერბურგელი ბალეტის ოსტატები (კონცერტის შემოსავალი ასევე გადაირიცხა რუსთაველის პროსპექტის აღდგენის ფონდში). ორივე ქალაქის საზოგადოებრიობამ მოწონებით აღიქვა ის ცნობა, რომ პეტერბურგის მერი ანატოლი სობჩაკი და დიდებული მსახიობი, ჩვენი თანამემამულე ევგენი ლებედევი არჩეული არიან თბილისის საპატიო მოქალაქეებად. ისღა დაგვრჩენია დავძინოთ, რომ ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში თეატრს უდიდესი დახმარება გაუწიეს ჩვენი ქალაქის მერიამ ბატონ ოთარ ლითანიშვილის მეთაურობით და პეტერბურგის ფირმა „კონსტანტინემ“. 4 თებერვალს თეატრი მიდის ორკვირიან გასტროლებზე იტალიაში (ბოლონია), სადაც მაყურებლის სამსჯავროზე გაიტანს ა. ოსტროვსკის ზღაპარს „ფიფქია“ (რეჟისორი იგორ ფილიევი).

მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, მთავრობაც და მრავალი ფირმაც ხელს უწყობენ თეატრს ძნელბედობაში, ქართული და რუსული კულტურების ტრადიციული კეთილურთიერთობის შემდგომ განვითარებაში.

ჩვენი მთა-ბარის ამბავი

შეიქმნა ახალი კავშირი

დამფუძნებელ ყრილობაზე თავი მოიყარეს საინჟინრო-გეოლოგიის დარგში მომუშავე მეცნიერებმა, წარმოების და საპროექტო ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო ინსტიტუტების, სხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების სპეციალისტებმა.

ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს ინჟინერ-გეოლოგთა კავშირის წესდება. არჩეული იქნა კავშირის რესპუბლიკური საბჭო, კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი, საფინანსო-საკონტროლო კომისია.

ყრილობამ საქართველოს ინჟინერ-გეოლოგთა კავშირის საპატიო თავმჯდომარედ აირჩია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **იოსებ ბუაჩიძე**, თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს საინჟინრო-საძიებო სამუშაოების განყოფილების გამგე **ზურაბ ჩიქოვანი**, თანათავმჯდომარეები არიან გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ომარ ქეცნაშვილი** და სპეციალური დანიშნულების გეოლოგიური პარტიის უფროსი **გაბრიელ ჭინჭარაული**.

„ფიროსმანის მეგობრები“ გიწვევთ აუქციონზე!

16 იანვარს თბილისის „ჩაის სახლში“ საერთაშორისო საზოგადოება „ფიროსმანის მეგობრები“ აწყობს თვალსაჩინო ქართველ მხატვართა ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა-აუქციონს. გამოფენა გაიხსნება 11-ზე, ხოლო აუქციონი დაიწყება 18 საათზე. შემოსული თანხის დიდი ნაწილი გადაეცემა აფხაზეთში დაღუპულ ქართველ მეომართა ოჯახებს.

გამოფენა — აუქციონზე გაიყიდება ზურაბ ნიჟარაძის, გია ბუღაძის, თენგიზ მირზაშვილის, ლადო ტატიშვილის, გია გუგუშვილის, ქეთი მატაბელის, თამაზ კაკაბაძის, ამირ კაკაბაძის, ლადო ახათიანის, თემო ჯაფარიძის, ზურაბ გომელაურის, მამია ახობაძის, მამუკა ცეცხლაძის, მიშიკო იაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ჯემალ კუხალაშვილის და სხვათა — სულ 50 მხატვრის — 150-მდე ნამუშევარი.

იქნება, სინათლე იქნება!

მკვეთრი აცივების გამო თბილსრესის ენერგობლოკების ზოგიერთ უბანზე მწყობრიდან გამოვიდა საკონტროლო დანადგარები. მაგრამ, საქენერგოს უფროსი იური ქედია გვპირდება, რომ 20 იანვრამდე სრული სიმძლავრით ამოქმედდება ცხრა ენერგობლოკი, რამდენიმე უკვე ამოქმედდა. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დღეებში ამოქმედდება ელექტროგადამცემი ხაზი — 500 „იმერეთი“, უახლოეს ხანში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არსებითად გაუმჯობესდება რესპუბლიკის ენერგომომარაგება.

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ბოლნისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ვაჟა ავქოფაშვილი.

საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაცია

დრო გადის!
თქვენი დანაზოგი მანეთი კი დღითი-დღე კაპიკს უტოლდება!

გამოიყენეთ თქვენი ფულის გადარჩენის შანსი, შეიძინეთ საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციის აქციები. და მას ვერც რეფორმა და ვერც ინფლაცია ვერ დაემუქრება, რადგანაც — თქვენს ფულს ჩვენ რეალურ უძრავ და მოძრავ ქონებად ვაქცევთ!

გაინტერესებთ რას მოიგებთ კიდევ თუ ჩვენი აქციონერი გახდებით?

— თქვენ შეიძენთ დამატებითი შემოსავლის წყაროს ხელფასების და პენსიების გარდა.
— თქვენ გახდებით 2 მილიარდი მანეთის პრივატიზებული ქონების თანამესაკუთრე, მისი მართვის სრული უფლებით.
— თქვენი აქციის კურსი უძრავი ქონების ფასის ზრდასთან ერთად გაიზრდება.
მაღალი დივიდენდების მიღება ჩვენთან გარანტირებულია არა არასტაბილური სავაჭრო ოპერაციებით, არამედ მყარი უძრავი ქონების ეფექტურად ამუშავებით!

მაშ ასე, თუ გსურთ შეიქმნათ კაპიტალი და დაუტოვოთ იგი შვილებს შეიძინეთ საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაციის აქციები როგორც ნაღდი ანგარიშით, ისე გადარიცხვით ინდექსირებული და არა მარტო ინდექსირებული თანხებით.

აქციების ღირებულება 1.000 მანეთია.
იყიდება 50.000 და 100.0000 მანეთის პაკეტის აქციები.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
ა/ა N000606605 საქმრეწმშენბანკის საოპერაციო სამმართველოში, კოდი 521921.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 11.
ტელეფონი: 22-04-16, 22-26-07.

გახსოვდეთ დოლარიცეთ მყარი მხოლოდ უძრავი ქონებაა!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1993 წლის 13 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული განცხადება სათაურით „გაიზარდა ტელეფონის ქირა“ სინამდვილეს არ შეეფერება, რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 24 აპრილის № 470 დადგენილებით კავშირგაბმულობის ძირითად სახეობებზე (მათ შორის ინდივიდუალური ტელეფონებით სარგებლობისათვის. გადასახადი), ტარიფების რეგულირება რესპუბლიკის მთავრობის პრეროგატივაა და არა კავშირგაბმულობის სამინისტროსი.

ამდენად, გაზეთში მოყვანილი ტარიფი (150 მანეთი) უკანონოა და მოსახლეობამ უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი ტარიფით (18,3 მანეთი თვეში) მანამ, სანამ არ იქნება მიღებული ახალი სამთავრობო გადაწყვეტილება.

გთხოვთ აღნიშნული წერილის შინაარსი გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში.

ი. ზალამბერიძე,
საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე,
რ. კურატაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილე.
1993 წლის 13 იანვარი.

გვახსოვხარ, ზაზა!

აფხაზეთში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე დღეს გადამწყვეტი მატჩები გაიმართება.

ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ზაზას მეგობრებისგან დაკომპლექტებული გუნდი — „სამძმო“ და „მედიკოსი“, ხოლო მესამე ადგილისათვის ითამაშებენ „კრწანისი“ და ჟურნალისტთა ნაკრები „ჩემპიონი“.

ანგარიში გათანაბრდა

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ვაჟთა ფინალური მატჩის მესამე პარტია იან ტიმანსა და ნაიჯელ შორტს შორის შავებით მოთამაშე ინგლისელმა მოჭადრაკემ მოიგო.

ანგარიში გათანაბრდა — 1,5:1,5.

ლიდერები უცვლელია

პარიზ-დაკარის ავტორბოლა დღეს მთავრდება. მოწინავე პოზიციებს კვლავინდებურად ფრანგები ინარჩუნებენ. ლიდერობს ბრუნო საბი („მიცუბისი“). მოტოციკლისტთა შორის წინაა სტეფან პეტრანსელი („იამაჰა“).

კვლავ ნაკრების მაისურით

ფეხბურთის სამყარო დიეგო მარადონა 8-წლიანი შესვენების შემდეგ უბრუნდება არგენტინის ეროვნულ გუნდს.

ნაკრების მწვრთნელმა ალფიო ბაზილემ იგი მიიწვია 18 თებერვლისათვის ბრაზილიელებთან დანიშნულ ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ.

ვაჟები რას მიქვიან

ინგლისის ქალაქ ჰასტინგსში დასრულდა ტრადიციული საახალწლო ტურნირი ჭადრაკში.

14 შესაძლებლიდან 9-9 ქულით გამარჯვება გაიყვეს უნგრელმა ვუნდერკინდმა ივდით პოლგარმა და მოსკოველმა ევგენი ბარეევმა. მათ ერთი ქულით ჩამორჩა ინგლისელი ჯონათან სპილმენი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის პროკურორის ყოფილი მოადგილე

ოთარ ჯიბლაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციათა და კერძო პირთა საყურადღებოდ!

PENTA Co-Ltd

1. გთავაზობთ ნებისმიერი სახის ტვირთის გადაზიდვას, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თქვენს განკარგულებაშია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი „სუპერ-მაზისა“ და „კამაზის“ ტიპის ავტომანქანები, რომელთა ტვირთზიდვა განისაზღვრება 16-24 ტონის ოდენობით.

გთხოვთ ეწვიოთ საზოგადოება „პენტას“ საერთაშორისო გადაზიდვების სააგენტოს, რომელიც ევროპისა და აზიის ნებისმიერ ქვეყანაში ტვირთების გადაზიდვის გენერალური ლიცენზიის მფლობელია.

2. **დღევანდელ დღეს, სასურსათო მწვავე დეფიციტის პირობებში თქვენ საშუალება გექნებათ შეიძინოთ, როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე, სხვადასხვა სახის სახალხო მოხმარების საგნები:** ღვინო, კონიაკი, შამპანური, სიგარეტი, წებო, მეტლახი, ყავა, სანტექნიკური მოწყობილობები, უცხოური წარმოების სათადარიგო ნაწილები „გაზ-24“-ისა და „მოსკვიჩ — რენო“ მარკის ავტომობილებისათვის.

ყოველკვირეულად ჩვენი „სავაჭრო სახლის“ საწყობები ივსება სხვადასხვა სახის საქონლით. დამატებითი ღირებულების გადახდის შემთხვევაში, მომხმარებელს ვემსახურებით შეძენილი პროდუქციის დანიშნულების ადგილზე მიტანით.

3. **ჩვენი საწარმოო და სადიზაინერო ბიურო უზრუნველყოფს თქვენი ოფისის, მაღაზიისა და სხვა შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის მაღალ მხატვრულ დონეზე გაფორმებას.** თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური არქიტექტორები და დიზაინერები, რომლებიც შემოგთავაზებენ მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებულ პროექტებსა და ესკიზებს. ჩვენს საწარმო უბნებზე დამზადდება თქვენი შენობების საფასადო ვიტრინები, სარეკლამო ფარები და სხვა. ასევე შემოგთავაზებთ შეთანხმებული ესკიზების მიხედვით სახალხო მოხმარების სხვადასხვა საგნებს (მაგიდები, თაროები, კარადები, ბარები, საბავშვო ოთახები და სხვა.).

4. **1993 წლის 19-დან 27 იანვრამდე გთავაზობთ მოგზაურობას პაკისტანის ქალაქ კარაჩიში.** თქვენ მოგელით ძალზე საინტერესო მოგზაურობა, საშუალება გექნებათ ისეირნოთ ეგზოტიკური ცხოველებით, იგემოთ სუბტროპიკული ხილი და, რაც მთავარია, იანვრის თვეში მიიღოთ მზის აბაზანები და ინებივროთ არაბეთის ზღვის ტალღებში.

თქვენ იცხოვრებთ 4-ვარსკვლავიან სასტუმროში, დღეში ორჯერადი კვებით. თქვენ საშუალება გექნებათ დაათვალიეროთ ქ. კარაჩის ღირსშესანიშნავი ადგილები.

მოგზაურობა კომფორტული თვითმფრინავით, შემდეგი მარშრუტით:

თბილისი-აშხაბადი-კარაჩი-აშხაბადი-თბილისი.

ვისაც გსურთ, მონაწილეობა მიიღოთ საინტერესო მოგზაურობაში, მიმართეთ ჩვენი კომპანიის ტურისტულ სააგენტოს „პენტა ტური“.

გთხოვთ, სასწრაფოდ შემოიტანოთ საბუთები, ვინაიდან საგზურების რაოდენობა ძალზე შეზღუდულია.

საგზურების ღირებულება: 400 ამერიკული დოლარი და 70000 მანეთი. გთხოვთ საბუთები მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 37 (ძველი სტუდქალაქის ტერიტორია), ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული. ტელ.: 29-46-73, 22-14-62.

5. **სააქციონერო-კომერციული ბანკი „პენტა ბანკი“ აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:**
1. ბანკის მმართველი — 1 საშტატო ერთეული.
2. სავალუტო განყოფილების გამგე — 1 საშტატო ერთეული.
3. ოპერატორი — 3 საშტატო ერთეული.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ (არაპროფესიონალები ნუ შეწუხდებით).

მობრძანდით ჩვენთან და გარწმუნებთ კმაყოფილი დარჩებით, როგორც მომსახურებით, ასევე ფასებით.

გახსოვდეთ, რომ თქვენი ინტერესები ჩვენი კომპანიის ინტერესებიც არის.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 118. საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური, შემოქმედებითი და კომერციული გამოფენების ცენტრი. პავილიონი № 9.
ტელ.: 34-24-10, 34-46-57.
ფაქსი: (8832) 342076. ტელექსი: 212182 ექსპო.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზობიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434